საგანგებო მდგომარეობის განმავლობაში და მას შემდეგ კოვიდ-19-თან დაკავშირებული ხარჯების მონიტორინგი

საბოლოო ანგარიში

ივლისი, 2021

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

საგანგებო მდგომარეობის განმავლობაში და მას შემდეგ კოვიდ-19-თან დაკავშირებული ხარჯების მონიტორინგი

საბოლოო ანგარიში

ივლისი, 2021

შინაარსი

ძირითადი მიგნებები 01

შესავალი 03

პანდემიასთან ბრძოლის ხარჯების დაფინანსების წყარო 05

პანდემიის ფარგლებში აღებული საგარეო კრედიტების განკარგვა 10

პანდემიის ფარგლებში მიღებული გრანტების განკარგვა 16

- მიზნობრივი გრანტები 17
- საინვესტიციო გრანტები 21

საგარეო დაფინანსების ფარგლებში განხორციელებული შესყიდვები 23

პანდემიასთან ბრძოლის 1 წლის ხარჯები 29

- ჯანმრთელობის დაცვის მიმართულება 30
  - ვირუსის გავრცელების საწინააღმდეგო საშუალებების შესყიდვა (ტესტები, პირადი დაცვის საშუალებები და სხვა) 31
  - სამედიცინო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურა და მკურნალობის ხარჯების ანაზღაურება 35
  - საკარანტინო მომსახურების ანაზღაურება 36
  - კოვიდსაწინააღმდეგო ვაქცინაზე ხელმისაწვდომობა 38
  - ჯანდაცვის მიმართულებით განხორციელებული შესყიდვები 39
- მოსახლეობის სოციალური დაცვის ღონისძიებები 41
  - კომუნალური გადასახადების სუბსიდირება 42
  - უმუშევრად დარჩენილთა კომპენსაცია 43
  - სოციალურად დაუცველი ოჯახებისა და შშმ პირებისთვის ფულადი დახმარება 45
  - 18 წლამდე ბავშვების ერთჯერადი სოციალური დახმარება 47
- ბიზნესის მხარდაჭერა 48
  - საშემოსავლო გადასახადის შეღავათი 49
  - სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა 50

ეკონომიკის ხელშეწყობის დამატებითი პაკეტები 52

პანდემიასთან დაკავშირებული სხვა ხარჯები და ღონისძიებები 53

სარეზერვო ფონდები 55

- მთავრობის სარეზერვო ფონდი 55
- ადგილობრივი თვითმმართველობების სარეზერვო ფონდები 56

ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გამოწვევები Covid-19 პანდემიის დროს 59

შეჯამება 67

ძირითადი მიგნებები

- პანდემიის ფარგლებში განხორციელებული ანტიკრიზისული ღონისძიებების დაფინანსების მთავარ წყაროს საზღვარგარეთიდან მიღებული ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტები და გრანტები წარმოადგენდა. პანდემიის ფარგლებში, 2021 წლის 31 მარტის მდგომარეობით, საზღვარგარეთიდან ჩამორიცხულია 1.44 მილიარდი ევროს დაფინანსება.
- 2020 წელს ათვისებული საგარეო კრედიტების 63% მოხმარდა ბიუჯეტის მხარდაჭერას, 14% - საგზაო ინფრასტრუქტურას, 7% - საგადასახდელო ბალანსის მხარდაჭერას, 7%-მუნიციპალურ ინფრასტრუქტურას, 6% - ჯანდაცვის სექტორს, 1%-ენერგეტიკის სექტორს, ხოლო 2% - სხვა ხარჯებს.
- საინვესტიციო კრედიტების ფარგლებში, ცალკეული პროექტების ათვისებული თანხები მნიშვნელოვნად ჩამორჩება მის გეგმიურ მაჩვენებელს.
- 2020 წელს და 2021 წლის პირველ კვარტალში, საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მიღებული მიზნობრივი გრანტების ფარგლებში ათვისებული 98.4 მილიონიდან, 14.8 მილიონი მოხმარდა შრომის ანაზღაურებას, ხოლო 44.9 მილიონი ლარი - საქონელი და მომსახურებას.
- 2020 წლის თებერვლიდან 2021 წლის მარტის ჩათვლით, სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში დონორის სახსრებით 113 შესყიდვა/ფასების კოტირება გამოცხადდა. მათ შორის, Covid-19-ის წინააღმდეგ სწრაფი რეაგირების პროექტის ფარგლებში ჯანდაცვის სამინისტროს მიერ გამოცხადებული 10 ტენდერიდან მხოლოდ 7 შედგა და მათმა ჯამურმა ღირებულებამ 13 მილიონ 800 ათას ლარამდე შეადგინა. რამდენიმე შემთხვევაში ხელშეკრულებები დაიდო მმართველი პარტიის შემომწირველ კომპანიებთან.
- ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების მიხედვით, პანდემიის დაწყებიდან 1 წლის განმავლობაში, ანტიკრიზისული გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებებისთვის სულ დაიხარჯა 4.15 მილიარდი ლარი. მათ შორის, ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებას მოხმარდა 594.4 მილიონი ლარი, მოსახლეობის სოციალურ დახმარებას 1.13 მილიარდი ლარი, ბიზნესის მხარდაჭერას 786.9 მილიონი ლარი, ხოლო დანარჩენი 1.63 მილიარდი ლარი ეკონომიკის ხელშეწყობის დამატებით პაკეტებს.
- ვირუსის გავრცელების საწინააღმდეგო საშუალებების, მათ შორის, კოვიდ ტესტების შესყიდვაში ჯანდაცვის სამინისტროს ხაზით 146,840,376 ლარი დაიხარჯა. ხარჯი სამინისტროს დაქვემდებარებულმა სხვადასხვა უწყებამ გასწია, მათ შორის: თავად სამინისტროს აპარატმა ჯამში 21 მილიონ ლარზე მეტი დახარჯა; ა(ა)იპ სამედიცინო ჰოლდინგმა - 1,670,320 ლარი, საგანგებო სიტუაციების მართვისა და კოორდინაციის ცენტრმა - 1,344,545 ლარი; დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრმა და ლუგარის ლაბორატორიამ ერთობლივად -

10 მილიონ ლარზე მეტი; 33.5 მლნ დოლარზე მეტია (111.5 მლნ ლარზე მეტი) დახარჯული ტესტების შესყიდვაში.

- ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, სამედიცინო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები სესხების ფარგლებში, 2021 წლის პირველი კვარტლის მდგომარეობით, არ განხორციელებულა.
- სოციალური დაცვის მიმართულებით, 1 წლის განმავლობაში ყველაზე მეტი მოხმარდა მოსახლეობის კომუნალური გადასახადების სუბსიდირებას - 469.6 მილიონი ლარი. მსგავსი ხარჯების ზრდას ხელი შეუწყო ელექტროენერგიის ტარიფის გაძვირებამ.
- უმუშევრად დარჩენილთა 200-ლარიანი დახმარების პროგრამისთვის 2020 წლის ბიუჯეტიდან 450 მლნ. ლარი გამოიყო. პროგრამის მიმდინარეობის მანძილზე (მაისი-ნოემბერი) გამოყოფილი თანხების მესამედიც ვერ იქნა ათვისებული.
- სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის, ანტიკრიზისული გეგმით გათვალისწინებული დახმარების ბენეფიციართა რიცხვი ყოველთვიურად იზრდება, რაც იმაზე მიუთითებს, რომ პანდემიის ფონზე მეტი ოჯახი ღარიბდება და მოითხოვს დახმარებას. 2020 წლის მაისიდან 2021 წლის მარტამდე, პროგრამის ბენეფიციარი სოციალურად დაუცველი ოჯახების რიცხვი 45,771-ით (23%-ით) გაიზარდა.
- StopCov ფონდში მობილიზებული თანხის უდიდესი ნაწილი 18 წლამდე ბავშვების დახმარებაზე (925,000 ბავშვი) დაიხარჯა. სულ პროგრამაზე 185 მლნ. ლარი დაიხარჯა, რაც გამოყოფილ ბიუჯეტს - 160 მლნ. ლარს - +16%-ით აჭარბებს. დახმარება იყო ერთნაირი მოცულობის (200 ლარი) ბავშვის სოციალური მდგომარეობის მიუხედავად.
- ბიზნესის მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში, 1 წლის განმავლობაში ყველაზე დიდი რესურსი საშემოსავლო გადასახადზე დაწესებულ შეღავათს მოხმარდა - 443.9 მილიონი ლარი.
- რთველის სუბსიდირების პროგრამის ფარგლებში შესყიდული 168.3 ათასი ტონა ყურძნის ნახევარზე მეტი (86.7 ათასი ტონა) სახელმწიფო საწარმომ (სს „აკურა") შეისყიდა.
- ფერმერებმა აგრობარათზე დარიცხული ქულების ფარგლებში, 31.2 მილიონი ლარი დახარჯეს სპეციალიზირებული მაღაზიებიდან გარკვეული საქონლის შესყიდვაზე, ხოლო ხვნის მომსახურებაზე - მხოლოდ 25.7 ათასი ლარი.
- 2020 წელს და 2021 წლის პირველ კვარტალში, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ათვისებული თანხიდან (55,511,407.59) კორონავირუსთან ბრძოლის მიზნობრიობით დახარჯულია მხოლოდ 14% - (7,708,933.6 ლარი).
- პანდემიის პერიოდში ცალკეული მუნიციპალიტეტები სარეზერვო ფონდებიდან ეწეოდნენ ისეთ ხარჯებს, რომელთა სარეზერვო ფონდიდან დაფინანსების აუცილებლობა კითხვის ნიშნებს აჩენს, ხოლო ცალკეული მუნიციპალიტეტები საერთოდ ვერ ახდენენ სარეზერვო ფონდში გათვალისწინებული სახსრების ათვისებას.

შესავალი

კორონავირუსის (Covid-19) პანდემიის დაწყების შემდეგ მსოფლიომ, მათ შორის საქართველომ, დაიწყო ბრძოლა, ერთი მხრივ, მოქალაქეების ჯანმრთელობის და სიცოცხლის, ხოლო მეორე მხრივ, ქვეყნის ეკონომიკის გადასარჩენად. პანდემიით გამოწვეულ სირთულეებთან ბრძოლა მოითხოვდა მნიშვნელოვან ფინანსურ რესურსს, რაც განსაკუთრებულ გამოწვევას წარმოადგენდა საქართველოს ეკონიმიკური შესაძლებლობის მქონე ქვეყნისთვის. კერძოდ, პანდემიის შედეგების შემსუბუქების მიზნით, აუცილებელი იყო ვირუსის შემაკავებელი ღონისძიებების განხორციელება და დამატებითი სამედიცინო რესურსის მობილიზება, მოქალაქეების სოციალური მხარდაჭერა, ბიზნესის გადარჩენა და ეკონომიკის ხელშეწყობა.

2020 წელს პანდემიის მიერ მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნით, საქართველოს ხელისუფლების მიერ შემუშავდა ანტიკრიზისული გეგმა, ხოლო ამ გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსების მიზნით, სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელდა ცვლილებები. 2020 წლის ანტიკრიზისული ბიუჯეტით დაიგეგმა დამატებით 5.6 მილიარდი ლარის მობილიზება, ხოლო უშუალოდ პანდემიასთან საბრძოლველად გასატარებელი ღონისძიებებისათვის განისაზღვრა 3.4 მილიარდი ლარი.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI), ევროკავშირის (EU) მხარდაჭერით, განახორციელა პროექტი, „საგანგებო მდგომარეობის განმავლობაში და მას შემდეგ კოვიდ-19 თან დაკავშირებული ხარჯების და ადამიანის უფლებების დაცვის მონიტორინგი". საქართველოში პანდემიის წინააღმდეგ მიმართული მოქმედებების ეფექტურობის გაუმჯობესების მიზნით, ინიციატივის ფარგლებში განხორციელდა Covid-19-თან დაკავშირებული საჯარო ფინანსების, საჯარო შესყიდვების, მთავრობის ანტიკრიზისული გეგმის შესრულების, StopCov ფონდის ხარჯვისა და დონორთა დახმარების განაწილების მონიტორინგი.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს პროექტის შემაჯამებელ ანგარიშს, რომელიც მიმოიხილავს, საქართველოს ხელისუფლების მიერ, 1 წლის განმავლობაში პანდემიასთან ბრძოლის ფარგლებში განხორციელებული ანტიკრიზისული ღონისძიებების, მათი დაფინანსების წყაროების და გაწეული ხარჯების მონიტორინგის შედეგებს, ძირითად მიგნებებსა და გაცემულ რეკომენდაციებს. ქვეყანაში ვირუსის გავრცელების დაწყების (პირველი დადასტურებული შემთხვევა - 2020 წლის 26 თებერვალი), საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების (2020 წლის 21 მარტი) და ანტიკრიზისული გეგმის შემუშავების (2020 წლის 24 აპრილი ანტიკრიზისული გეგმის წარდგენა) თარიღების გათვალისწინებით, ანგარიშის მიზნებისთვის, **პანდემიასთან ბრძოლის 1 წლის პერიოდი მოიცავს 2020 წელს და 2021 წლის პირველ კვარტალს.**

ანგარიშის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ანტიკრიზისული ღონისძიებების დაფინანსების წყაროების (საზღვარგარეთიდან მიღებული ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტები და გრანტები, შიდა ვალი, StopCov ფონდი და სხვ.) ფარგლებში გაწეული ხარჯების მიზნობრიობას. თუმცა, დოკუმენტი დამატებით ასევე, მიმოიხილავს საზღვარგარეთიდან მიღებული საინვესტიციო (საინვესტიციო კრედიტები და გრანტები) და მიზნობრივი დაფინანსების (საბიუჯეტო უწყებებისათვის გამოყოფილი მიზნობრივი გრანტები), მთავრობის და მუნიციპალიტეტების სარეზერვო ფონდების და სხვა ისეთი წყაროების განკარგვის პრაქტიკას, რომელთა ფარგლებში გამოყოფილი რესურსი, თავისი შინაარსით, პირდაპირ ან ირიბად, შესაძლებელია დაკავშირებული ყოფილიყო პანდემიასთან.

კორონავირუსის პანდემიასთან ბრძოლის ფარგლებში, საქართველოს მთავრობის მიერ მობილიზებული თანხების და მის ფარგლებში გაწეული ხარჯების მონიტორინგის მიზნით, IDFI-მ შეისწავლა საჯაროდ ხელმისაწვდომი დოკუმენტები/ მონაცემები. ასევე, ცალკეული საკითხების სრულყოფილი ანალიზის მიზნით, საჯარო დაწესებულებებიდან მოითხოვა დეტალური ინფორმაცია.

პანდემიასთან ბრძოლის ხარჯების დაფინანსების წყარო

2020 წელს კორონავირუსის (Covid-19) პანდემიამ მნიშნელოვანი გავლენა იქონია მსოფლიოს, მათ შორის, საქართველოს ეკონომიკაზე. პანდემიით განპირობებულმა ეკონომიკურმა რეცესიამ განაპირობა საბიუჯეტო შემოსავლების მნიშვნელოვანი შემცირება, ხოლო კრიზისთან ბრძოლის სპეციფიკამ წარმოშვა დამატებითი ხარჯების გაწევის საჭიროება. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს განმარტებით, 2020-2021 წლებში საქართველოში პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის უარყოფითი ეფექტი 7 მილიარდ ლარს აღწევს. მათ შორის, ეკონომიკური ზრდის შენელებიდან გამომდინარე საგადასახადო შემოსავლების დანაკლისი შეადგენს 1.9 მილიარდ ლარს, ანტიკრიზისული გეგმის ფარგლებში დაწესებული საგადასახადო შეღავათების ეფექტი - 0.6 მილიარდი ლარი, ხოლო Covid-19-თან დაკავშირებული ღონისძიებების (მოქალაქეთა სოციალური დახმარება, ჯანმრთელობის და კარანტინის ხარჯები, ბიზნესის ხელშეწყობა და სხვა) ხარჯები - 4.4 მილიარდი ლარი. შედეგად, 2020 წლის ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი მშპ-ის 2.5%-დან 9.3%-მდე გაიზარდა და 4.6 მილიარდ ლარს მიაღწია. ასევე, 2021 წლის ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი მშპ-ის 7.6%-ით განისაზღვრა, რაც კვლავ აჭარბებს 4 მილიარდ ლარს.

პანდემიის შედეგად წარმოქმნილი დეფიციტის დაფინანსების მთავარ წყაროს წარმოადგენდა საზღვარგარეთიდან მიღებული სასესხო და საგრანტო დაფინანსება. 2020 წელს საქართველოს მთავრობის მიერ შეთანხმება მიღწეული იქნა 1.83 მილიარდ ევროს (2.2 მილიარდი აშშ დოლარი), საგარეო დაფინასების მიღებაზე, საიდანაც ხელშეკრულება გაფორმდა 1.73 მილიარდი ევროს (2.07 მილიარდი აშშ დოლარი) დაფინანსებაზე. აღნიშნული თანხიდან, 1.57 მილიარდი ევრო წარ-მოადგენდა უშუალოდ პანდემიის გათვალისწინებით მოზიდულ თანხებს, ხოლო 160 მილიონი ევრო დაგეგმილი იყო პანდემიის გარეშეც. 2021 წლის 31 მარტის მდგომარეობით, შეთანხმებული თანხიდან უკვე ჩარიცხულია 1.44 მილიარდი ევრო.

პანდემიასთან ბრძოლის ფარგლებში, საზღვარგარეთიდან მოზიდულ თანხებს შორის **ყველაზე მეტი ფინანსური რესურსი გამოყო აზიის განვითარების ბანკმა (ADB) – 420.8 მილიონი ევრო, რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკმა (KfW) – 260.8 მილიონი ევრო და ევროკავშირმა (EU) – 228 მილიონი ევრო.**

საზღვარგარეთიდან მიღებული **დაფინანსების დიდი ნაწილი გამოყოფილია საბიუ-ჯეტო დახმარების ტიპის სესხების სახით.** მსგავსი ტიპის სესხებს წინასწარ განსაზ-ღვრული კონკრეტული მიზნობრიობა არ აქვს და ის გამოიყენება სახელმწიფო ბიუჯე-ტიდან არსებული საჭიროებების დაფინანსებისთვის.

პანდემიის ფარგლებში მოზიდულ ფინანსურ დახმარებებს შორის, გრანტის სახით ევროკავშირმა (EU) საქართველოს გამოუყო 75 მილიონი ევრო, რომელიც გათვალისწინებულია მთავრობის ანტიკრიზისული ეკონომიკური გეგმის განხორციელების მხარდაჭერისთვის. რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკმა (KfW) საქართველოს გრანტის სახით გამოუყო 5.8 მილიონი ევრო პანდემიის ფარგლებში სოციალური დახმარებების გასაცემად.

დასახელება	შეთანხმების ტიპი	დონორი	ხელმოწერის თარიღი
საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს (ADB) შორის	**სასესხო შეთანხმება** (COVID-19-ზე საგანგებო რეაგირებისა და დანახარჯების მხარდამჭერი პროგრამა)	ADB	02.06.2020
საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს (ADB) შორის	**სასესხო შეთანხმება** (ჩვეულებრივი ოპერაციები) (ფისკალური მდგრადობის და სოციალური დაცვის პროგრამა)	ADB	29.10.2020
საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს (ADB) შორის	**სასესხო შეთანხმება** "თანამედროვე უნარები უკეთესი სამუშაო ადგილებისთვის"	ADB	09.12.2020
საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს (ADB) შორის	**სასესხო შეთანხმება** "წყალმომრაგებისა და წყალარინების სექტორის მდგრადი განვითარების პროგრამა"	ADB	15.10.2020
საქართველოსა და რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკს (KfW) შორის	**სასესხო შეთანხმება** (საქართველოს ენერგეტიკის სექტორის მხარდაჭერა)	KFW	28.05.2020
საქართველოსა და რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკს (KfW) შორის	**სასესხო შეთანხმება** (პოლიტიკაზე დაფუძნებული სესხი (PBL)	KFW	07.08.2020
საქართველოსა და რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკს (KfW) შორის	**საგრანტო შეთანხმება** „COVID- 19 პანდემიის კონტექსტში სოციალური უსაფრთხოება“	KFW	29.10.2020
საქართველოსა და რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკს (KfW) შორის	**საგრანტო შეთანხმება** „COVID- 19 პანდემიის კონტექსტში სოციალური უსაფრთხოება“	KFW	29.10.2020
საქართველოსა და ევროკავშირს შორის	**სასესხო შეთანხმება** „მაკროფინანსური დახმარება საქართველოსთვის IV“	EU	29.10.2020
საქართველოსა და ევროკავშირს შორის	**საგრანტო შეთანხმება** "სახელმწიფო მდგრადობის პროგრამა"	EU	22.09.2020
საქართველოსა და ევროკავშირს შორის	**სასესხო და საგრანტო შეთანხმება** „მაკროფინანსური დახმარება საქართველოსთვის III“	EU	28.09.2020
საქართველოსა და საფრანგეთის განვითარების სააგენტოს შორის	**სასესხო შეთანხმება** (სოციალური კეთილდღეობის პროგრამა)	AFD	31.08.2018
საქართველოსა და საფრანგეთის განვითარების სააგენტოს შორის	**სასესხო შეთანხმება** (საქართველოს ენერგეტიკის სექტორის მხარდაჭერა)	AFD	22.05.2020
გაფართოებული დაფინანსების მექანიზმის (EFF) პროგრამის ფარგლებში (COVID-19-ის პანდემია)	საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან (IMF) მისაღები სახსრები	IMF	22.05.2020
საქართველოსა და რეკონსტრუქციისა და განვითარებისსაერთაშორისო ბანკს (IBRD) შორის	**სასესხო შეთანხმება** „ეკონომიკური მართვისა და კონკურენტუნარიანობის განვითარების პოლიტიკისთვის“	WB	30.03.2020
საქართველოსა და რეკონსტრუქციისა და განვითარებისსაერთაშორისო ბანკს (IBRD) შორის	**სასესხო შეთანხმება** „ეკონომიკური მართვისა და კონკურენტუნარიანობის განვითარების პოლიტიკისთვის“	WB	01.05.2020
საქართველოსა და რეკონსტრუქციისა და განვითარებისსაერთაშორისო ბანკს (IBRD) შორის	**სასესხო შეთანხმება** „დამატებითი სესხი ეკონომიკური მართვისა და კონკურენტუნარიანობის განვითარების პოლიტიკისთვის“ (DPO)	WB	07.07.2020
საქართველოსა და აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკს (AIIB) შორის	**სასესხო შეთანხმება** „COVID-19-ის წინააღმდეგ სწრაფი რეაგირების პროექტი“	AIIB	21.05.2020
საქართველოსა და აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკს (AIIB) შორის	**სასესხო შეთანხმება** (COVID-19-ის კრიზისის შემსუბუქება)	AIIB	28.07.2020
GUMIP ცვლილება და რეპროგრამირება კოვიდ პანდემიის კონტექსტში		EIB	21.12.2020
სულ EURO			
სულ USD			

შეთანხმებული თანხა (მლნ ევრო)	ხელმოწერილი თანხა (მლნ ევრო)	მ.შ. კოვიდის გარეშე დაგეგმილი	კოვიდისთვის დამატებით მოზიდული	ჩამორიცხული თანხა (მლნ ევრო) 31.03.2021	კოვიდისთვის დამატებით მოზიდულიდან ჩამორიცხული 31.03.2021
92.3	92.3		92.3	92.3	92.3
254.2	170.8		170.8	170.8	170.8
65.5	42.4		42.4	42.4	42.4
115.3	115.3		115.3	70.9	70.9
90.0	90.0	30.0	90.0	90.0	90.0
180.0	180.0		180.0	180.0	180.0
5.8	5.8		5.8	1.2	1.2
15.0	15.0		15.0	4.1	4.1
150.0	150.0		150.0	75.0	75.0
75.0	75.0		75.0	60.0	60.0
28.0	28.0	25.0	3.0	28.0	3.0
70.0	70.0	30.0	40.0	70.0	40.0
120.0	120.0	30.0	90.0	120.0	90.0
171.8	171.8		171.8	171.8	171.8
45.0	45.0	45.0	-	45.0	—
73.1	73.1		73.1	58.3	58.3
45.0	45.0		45.0	45.0	45.0
91.3	91.3		91.3	66.6	66.6
45.0	45.0		45.0	45.0	45.0
100.0	100.0		100.0		-
1,832.3	1,725.9	160.0	1,565.9	1,436.4	1,276.4
2,198.7	2,071.0	192.0	1,879.0	1,723.7	1,513.7

საზღვარგარეთიდან მიღებული ფინანსური დახმარებების გარდა, დამატებით თანხები მოძიებულ იქნა შიდა წყაროებიდან. კერძოდ, **2020 წელს საშინაო ვალი გაიზარდა 2 მილიარდი ლარით.** 2020 წლის ბიუჯეტის თავდაპირველი გეგმით, საშინაო ვალ-დებულებების ზრდა გათვალისწინებული იყო 1.2 მილიარდი ლარით. შესაბამისად, პანდემიის შედეგად საშინაო ვალის ზრდამ თავდაპირველ გეგმას დაახლოებით 800 მილიონი ლარით გადააჭარბა. **2021 წელს საშინაო ვალის ზრდას ადგილი არ ქონია.**

პანდემიასთან ბრძოლის ფარგლებში ასევე შეიქმნა StopCov ფონდი, სადაც სახელმწიფოსთან სოლიდარული თანამშრომლობის ფარგლებში ნებისმიერ პირს შეეძლო პანდემიასთან ბრძოლაში საკუთარი წვლილის შეტანა. **StopCov ფონდში ჩაირიცხა 138.4 მილიონი ლარი.**

პანდემიის ფარგლებში აღებული საგარეო კრედიტების განკარგვა

2020 წელს დაზუსტებული ბიუჯეტის გეგმით, საგარეო კრედიტების სახით გათვალისწინებული იყო 6.2 მილიარდი ლარის დაფინანსების მიღება. თუმცა, პანდემიის ფარგლებში დონორ ორგანიზაციებთან შეთანხმებული კრედიტების სრული მობილიზება ვერ მოხერხდა და მისმა შესრულებამ 5.2 მილიარდი ლარი შეადგინა. დანარჩენი შეთანხმებული თანხა აისახა 2021 წლის ბიუჯეტში. შედეგად, 2021 წლის პირველ კვარტალში საგარეო კრედიტის სახით დამატებით მობილიზდა 1.6 მილიარდი ლარი. 2020 წელს და 2021 წლის პირველ კვარტალში, საგარეო კრედიტის სახით მიღებული 6.8 მილიარდი ლარიდან, 5.1 მილიარდი წარმოადგენდა ბიუჯეტის მხარდამჭერ კრედიტებს, ხოლო 1.67 მილიარდი საინვესტიციო კრედიტებს.

განვლილ წლებში, ქვეყნის მიერ მიღებულ საგარეო კრედიტებს შორის ჭარბობდა საინვესტიციო კრედიტები. მაგალითად, 2019 წელს მიღებული საგარეო კრედიტიდან 70% წარმოადგენდა საინვესტიციო კრედიტს, ხოლო 30% ბიუჯეტის მხარდამჭერს. 2020 წელს ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტების წილი 73%-მდე გაიზარდა.



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

მიღებული საგარეო კრედიტები (ათასი ლარი)

დასახელება	2020 ფაქტი	2021 I კვარტალი ფაქტი
ბიუჯეტის მხარდაჭერის კრედიტები	**3,845,587.0**	**1,297,077.8**
WB*	374,405.1	90,762.1
IMF	644,089.0	
EU	387,081.4	
AIIB	267,278.1	72,451.8
ADB	318,506.5	1,133,863.9
AFD	651,113.0	
KFW	1,203,114.0	
საინვესტიციო, შელავათიანი კრედიტები	**1,418,759.9**	**254,359.2**
WB	242,716.2	49,457.3
NEFCO	2,824.9	777.9
IFAD	9,035.1	4,691.8
EIB	366,672.6	78,832.7
EBRD	223,230.4	65,504.0
CEB	903.8	44.1
AIIB*	37,527.1	4,282.6
ADB	456,292.2	43,727.7
კუვეიტი	5,211.5	18.3
საფრანგეთი	24,374.8	
იაპონია	3,927.5	96.4
გერმანია	46,043.8	6,926.4
სულ კრედიტები	**5,264,346.9**	**1,551,437.0**

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემების მიხედვით, 2020 წელს ათვისებული საგარეო კრედიტების 63% მოხმარდა ბიუჯეტის მხარდაჭერას, 14% - საგზაო ინფრასტრუქტურას, 7%-საგადასახდელო ბალანსის მხარდაჭერას, 7%-მუნიციპალურ ინფრასტრუქტურას, 6% - ჯანდაცვის სექტორს, 1% - ენერგეტიკის სექტორს, ხოლო 2% - სხვა ხარჯებს.



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს განმარტებით, ასევე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენების მიხედვით, საბიუჯეტო დახმარების სახით მიღებული საგარეო კრედიტები მოხმარდა პანდემიის ფარგლებში წარმოშობილ საბიუჯეტო საჭიროებებს. კერძოდ, ანტიკრიზისული გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსებას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან პანდემიის ფარგლებში დაფინანსებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია დეტალურად მიმოხილულია ქვემოთ.

საინვესტიციო პროექტებისთვის მიღებული საგარეო კრედიტებიდან 2020 წელს გაწეულია 1.38 მილიარდი ლარის ხარჯი, ხოლო 2021 წლის პირველ კვარტალში - 239.6 მილიონი ლარის ხარჯი. მათ შორის, ყველაზე დიდი თანხა მოხმარდა არაფინანსური და ფინანსური აქტივების ზრდას. არაფინანსური აქტივების ზრდა წარმოადგენს კაპიტალურ ხარჯებს, ხოლო ფინანსური აქტივების ზრდა წარმოადგენს საკრედიტო რესურსიდან გადასესხებულ თანხებს. 2020 წელს ყველაზე დიდი თანხა (137 მილიონი ლარი) გადასესხდა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ, წყალმომარაგების პროექტების განსახორციელებლად. საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის განმარტებით, დღეის მდგომარეობით არ არსებობს ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც დაარეგულირებს გადასესხების პოლიტიკას და მონიტორინგის პროცედურებს. მაგალითად, 2020 წელს შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ, მასზე გადასესხებული კრედიტის დასაფარად, ბიუჯეტში მიმართა 65.8 მილიონი ლარი, საიდანაც 30 მილიონი რეალურად დაიფარა არა კომპანიის, არამედ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ.



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაციის მიხედვით, 2020 წელს საგარეო კრედიტებით დაფინანსებული საინვესტიციო პროექტების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 1.03 მილიარდ ლარს, ხოლო ფაქტობრივად ათვისებულია 1.38 მილიარდი ლარი. გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით, მსგავსი გადაჭარბება განპირობებულია იმ ფაქტით, რომ პირდაპირი საინვესტიციო ჩარიცხვები სრულყოფილად აისახება მხოლოდ ფაქტობრივ მაჩვენებლებში და მისი ასახვა ვერ ხერხდება გეგმურ მაჩვენებელში. მაგალითად, 2020 წელს პირდაპირი ჩარიცხვით განხორციელდა 880 მილიონი ლარის საინვესტიციო პროექტი.

ცალკეული პროექტების მიხედვით მონაცემების ანალიზით, ვხვდებით შემთხვევებს, როდესაც კონკრეტული საინვესტიციო პროექტის ფარგლებში ათვისებული თანხები მნიშვნელოვნად ჩამორჩება მის გეგმიურ მაჩვენებელს. ამ კუთხით განსაკუთრებით საყურადღებოა ისეთი საინვესტიციო პროექტები, რომლებისთვისაც თანხები გამოყოფილია პანდემიის ფარგლებში. მაგალითად, ჯანდაცვის სამინისტროს სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისთვის. Covid-19-თან დაკავშირებული ჯანდაცვის სფეროს ღონისძიებების დაფინანსება (EIB)) გეგმით გათვალისწინებული იყო 29 მილიონი ლარი, რომლის ფარგლებში თანხა საერთოდ არ დახარჯულა. აღნიშნულის განმაპირობებელ ფაქტორს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ დონორ ორგანიზაციასთან (EIB) მოლაპარაკებების დასრულება გეგმის შესაბამისად ვერ მოხერხდა.

2021 წლის პირველ კვარტალში აგროსექტორის განვითარების ხელშეწყობისთვის გეგმით გათვალისწინებული იყო 8.7 მილიონი ლარის საგარეო კრედიტის ათვისება, საიდანაც დაიხარჯა მხოლოდ 4.7 მილიონი ლარი.



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

საგარეო კრედიტებით დაფინანსებული საინვესტიციო პროექტების გეგმიური მაჩვენებლიდან გადახრა (მილიონი ლარი)

	2020	2021 (I კვ)
ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	-8.7	0.2
რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	-355.5	-32.2
იუსტიციის სამინისტრო	11.4	5.9
ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	29	30
თავდაცვის სამინისტრო	-19.4	
გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	0.7	4.6
განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	5.7	-3.5
დონორების მიერ დაფინანსებული საერთო სახელმწიფოებრივი გადასახდელები	-11.6	44.6

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

სახელმწიფო აუდიტის ანგარიშში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია ისეთ საინვესტიციო პროექტებზე, რომლებიც ფინანსდება საგარეო საკრედიტო რესურსით და ითვალისწინებს ვალდებულების გადასახადის (Commitment fee) გადახდას სესხის აუთვისებელ ნაწილზე. 2020 წელს საგარეო წყაროებიდან მოზიდული საინვესტიციო კრედიტების ფარგლებში ჯამურად გადახდილმა ვალდებულების გადასახადმა 9.6 მლნ ლარი შეადგინა. აქედან, 70%-ზე დაბალი ათვისების 9 საინვესტიციო პროექტის შემთხვევაში, გადახდილია 3.3 მლნ ლარი.

პანდემიის ფარგლებში მიღებული გრანტების განკარგვა

2020 წელს მისაღები გრანტების საპროგნოზო მაჩვენებელი განსაზღვრული იყო 558.3 მილიონი ლარით, საიდანაც მობილიზებულ იქნა 459.6 მილიონი ლარი. 160 მილიონ ლარზე მეტი გრანტი საზღვარგარეთიდან მიღებულ იქნა 2020 წლის დეკემბრის ბოლოს, რომელიც აისახა 2021 წლის იანვარის შემოსულობებში.

2020 წელს და 2021 წლის პირველ კვარტალში სულ გრანტის სახით მობილიზებულია 661 მილიონი ლარი, საიდანაც 442.6 მილიონი ლარი წარმოადგენს საზღვარგარეთიდან მიღებულ ბიუჯეტის მხარდამჭერ გრანტს, 58.3 მილიონი ლარი - საინვესტიციო გრანტს, 91.3 მილიონი ლარი - ხაზინის ანგარიშზე რიცხული რეესტრის გრანტი (მიზნობრივი გრანტი), ხოლო 68.6 მილიონი ლარი - ცენტრალური სსიპ-ებიდან მიღებულ გრანტებს.

სსიპ-ებიდან მიღებული გრანტები წარმოადგენს, 1 მილიონ ლარზე მაღალი შემოსავლის მქონე სსიპ-ების მიერ, საკუთარი შემოსავლებიდან ბიუჯეტში მიმართულ სახსრებს. შესაბამისად, აღნიშნული გზით მიღებული გრანტი არ უკავშირდება საზღვარგარეთიდან მიღებულ დაფინანსებას.

მიღებული გრანტები (ათასი ლარი)

დასახელება	2020 ფაქტი	2021 (I კვ) ფაქტი
გრანტები	**459,551.2**	**201,473.6**
ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტები	**279,071.0**	**163,638.0**
საინვესტიციო გრანტები	**56,578.2**	**1,788.5**
SDC	1,131.9	6.5
GEF	3,754.8	
EU	13,334.3	361.3
E5P	7,593.5	106.9
SIDA	9,966.2	304.5
KFW	19,118.8	1,009.3
CNF	1,678.8	
ხაზინის ანგარიშზე რიცხული რეესტრის გრანტები (მიზნობრივი გრანტები)	**73,304.0**	**18,053.5**
მიმდინარე გრანტები ცენტრალური სსიპ(ებ)-დან	**50,598.0**	**17,993.6**

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

საზღვარგარეთიდან მიღებული გრანტების დიდი ნაწილი მიღებულია ევროკავშირიდან ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტის სახით. აღნიშნული ფინანსური რესურსი გათვალისწინებული იყო პანდემიის ფარგლებში მთავრობის ანტიკრიზისული გეგმის განხორციელების მხარდაჭერისთვის. სახელმწიფო ბიუჯეტიდან პანდემიის ფარგლებში დაფინანსებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია დეტალურად მიმოხილულია ქვემოთ.

მიზნობრივი გრანტები

ხაზინის ანგარიშზე რიცხული რეესტრის გრანტები, წარმოადგენს საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მიღებულ მიზნობრივ გრანტებს. კერძოდ, სამინისტროებისა და უწყებების მიერ მიღებული მიზნობრივი გრანტები ირიცხება ხაზინის ერთიან ანგარიშზე და მისი აღრიცხვა/ხარჯვის წესი რეგულირდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 30 დეკემბრის N419 ბრძანების მიხედვით. 2020 წელს დარეგისტრირდა სამინისტროების და უწყებების მიერ მისაღები 222 მიზნობრივი გრანტი, რომლის ფარგლებში განსაზღვრული დაფინანსება შეადგენს 17.1 მილიონ აშშ დოლარს, 9.7 მილიონ ევროს, 12.7 მილიონ ლარს, 157 ათას ბრიტანულ სტერლინგს და 71.9 ათას ნორვეგიულ კრონს. 2021 წლის პირველ კვარტალში დარეგისტრირდა 65 მიზნობრივი გრანტი 7.9 მილიონი აშშ დოლარი, 8.5 მილიონი ლარი, 1.1 მილიონი ევრო, 20.2 ათასი ბრიტანულ სტერლინგი, 65.8 ათასი ბულგარული ლევი და 158.5 ათასი შვედური კრონი.

სამინისტროებისა და უწყებების მიერ მისაღები ფულადი გრანტები/მიზნობრივი დაფინანსება

	EUR	USD	GEL	GBP	NOK	BGN	SEK
2020	9,714,415.1	17,137,915.9	12,693,659.7	157,405.4	71,930.0		
2021 I კ3	1,106,024.0	7,965,049.6	8,461,313.5	20,250.0		65,794.0	158,500.0

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

2020 წელს და 2021 წლის პირველ კვარტალში რეგისტრირებულ მიზნობრივი გრანტებს შორის, ყველაზე მეტი გამოყოფილია დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრისთვის. კერძოდ, 2020 წელს და 2021 წლის პირველ კვარტალში სააგენტოსთვის დარეგისტრირებულია 64 მიზნობრივი გრანტი, რომელთა საერთო ბიუჯეტი შეადგენს 9.5 მილიონ აშშ დოლარს, 62 ათას ევროს და 616.7 ათას ლარს. დაავადებათა კონტროლის ცენტრიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით, ამ პერიოდში მიღებული გრანტებიდან, უშუალოდ პანდემიასთან

საბრძოლველად ცენტრმა მიიღო 2.8 მილიონი აშშ დოლარის მიზნობრივი გრანტი. მათ, შორის 2.3 მილიონი აშშ დოლარი გამოყვეს ამერიკის შეერთებული შტატების დაავადებათა და კონტროლის ცენტრებმა, 435.7 ათასი აშშ დოლარი ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ, ხოლო 44.5 ათასი აშშ დოლარი საერთაშორისო სამეცნიერო ტექნიკურმა ცენტრმა. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრების მიერ გამოყოფილი 2 მილიონი აშშ დოლარის მიზნობრიობას წარმოადგენს მომდევნო 5 წლის განმავლობაში საქართველოში SARS-CoV-2-ის ლაბორატორიული და ეპიდზედამხედველობის სიმძლავრეების გაძლიერება, ქვეყანაში არსებული ILI/SARI საყრდენი ბაზებით ეპიდზედამხედველობის სისტემაში Covid-19-ის ინტეგრირების ჩათვლით.

2020 წელს და 2021 წლის პირველ კვარტალში, პანდემიასთან საბრძოლველად მიღებული გრანტების ფარგლებში გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაციის მოთხოვნის პასუხად, ცენტრმა ინსტიტუტს მოაწოდა მხოლოდ დაფინანსებული პროექტების ბიუჯეტების შესახებ ინფორმაცია.

პანდემიასთან საბრძოლველად დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ მიღებული მიზნობრივი გრანტები

დონორი ორგანიზაცია	პროექტის დასახელება	ბიუჯეტი აშშ დოლარი	მოქმედების ვადა
CDC - Centers for Disease Control and Prevention	საქართველოში SARS-CoV-2-ის ლაბორატორიული და ეპიდზედამხედველობის სიმძლავრეების გაძლიერება, ქვეყანაში არსებული ILI/SARI საყრდენი ბაზებით ეპიდზედამხედველობის სისტემაში COVID-19-ის ინტეგრირების ჩათვლით	**1,998,000**	**30.09.20-29.09.25**
CDC - Centers for Disease Control and Prevention	SARS-CoV-2 გენომის სეკვენირების შესაძლებლობების გაფართოება	**313,000**	**30.09.20-29.09.25**
WHO - World Health Organization	COVID 19-ის შერბილება სოციალური და ეკონომიკური მდგრადობის მიზნით	**55,000**	**08.02.21-30.03.21**
WHO - World Health Organization	COVID-19–ის გავლენის შემცირება გრძელვადიანი სოციალურ-ეკონომიკურ მდგრადობის შესანარჩუნებლად, პარტნიორ ქვეყანაში ვირუსის წინააღმდეგ ბრძოლის და ყველაზე დაუცველი ადამიანების საჭიროებების დაკმაყოფილების მხარდაჭერა	**25,540**	**27.11.20-01.02.21**
WHO - World Health Organization	COVID-19–ის გავლენის შემცირება, სამედიცინო პერსონალის COVID-19–ით დაინფიცირების რისკ ფაქტორების შეფასება	**11,380**	**15.12.20-01.05.21**

WHO - World Health Organization	საქართველოში COVID-19-ის გავლენის შესუსტება სოციალური და ეკონომიკური მდგრადობის ზრდისთვის	**104,000**	**01.12.20-30.03.21**
WHO - World Health Organization	COVID_19 ვაქცინის ადმინისტრირების ელე-ქტრონული სისტემის დანერგვა და მართვა	**90,000**	**10.03.21-30.06.21**
WHO - World Health Organization	კოვიდ-19 ვაქცინის დანერგვის ტრეინინგი იმუნიზაციის მომსახურების მიმწოდე-ბლებისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალისტებისთვის	**40,000**	**01.03.21-30.06.21**
WHO - World Health Organization	ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის პროტოკოლის დანერგვა SARS-CoV-2 -ის წინააღმდეგ ვაქცინის ეფექტურობის შესა-ფასებლად სამედიცინო პერსონალში, საქა-რთველოს ჰოსპიტალებში	**109,811**	**04.05.21-04.11.21**
ISTC-The International Science and Techonology Center	CBRN CoE Project 53 - ბიოუსაფრთხოებისა და COVID პაციენტებისგან მასალის უსაფრთხოდ აღების სწავლება სამუშაო ადგილზე ჯანდაცვის პროფესიონალები-სთვის საქართველოში	**44,495**	**01.11.20-30.06.21**

წყარო: დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების დოკუმენტაცია მოიცავს მიზნობრივი გრანტების ფარგლებში სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების შესახებ ინფორმაციას. 2020 წლის ბიუჯეტის გეგმით მიზნობრივი გრანტების ფარგლებში გეგმით გათვა-ლისწინებული იყო 141.1 მილიონი ლარის ხარჯი, რისმა ფაქტობრივმა შესრულებამ შეადგინა 80 მილიონი (56.7%). 2021 წლის პირველ კვარტლის გეგმა შეადგენდა 69.4 მილიონ ლარს, საიდანაც ფაქტობრივად დაიხარჯა 18.4 მილიონი (26.4%).

2020 წელს და 2021 წლის პირველ კვარტალში მიზნობრივი გრანტების ფარგლებში ათვისებული 98.4 მილიონიდან, 14.8 მილიონი მოხმარდა შრომის ანაზღაურებას, ხოლო 44.9 მილიონი ლარი - საქონელი და მომსახურებას, რომელიც მოიცავს სხვა-დასხვა ტიპის ადმინისტრაციულ ხარჯებს. მათ შორის სატრანსპორტო, ტექნიკის და აღჭურვილობის ექსპლუატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯებს.



წყარო: *საქართველოს ფინანსთა სამინისტრო*

2020 წელს და 2021 წლის პირველ კვარტალში მიღებული მიზნობრივი გრანტების გათვალისწინებით, ყველაზე მეტი დაიხარჯა ჯანდაცვის ქვეპროგრამებზე, რომელთა განმახორციელებელს უმეტესწილად წარმოადგენს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი. კერძოდ, ჯანდაცვის სამინისტროს ქვეშ მყოფ საბიუჯეტო პროგრამებზე ამ პერიოდში მიზნობრივი გრანტების ფარგლებში ათვისებულია 33.8 მილიონი ლარი. მათ შორის, დაავადებათა კონტროლისა და ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების პროგრამის მართვაზე 10 მილიონი ლარი, ტუბერკულოზის მართვა 7 მილიონი ლარი, აივ ინფექციის მართვა - 11.7 მილიონი ლარი, პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფა 1.1 მილიონი ლარი და სხვა.

განათლების სამინისტროს ქვეშ მყოფ პროგრამებზე მიზნობრივი გრანტის ფარგლებში დაიხარჯა 16.9 მილიონი ლარი, საიდანაც 9.2 მილიონი ლარი უნივერსიტეტებისათვის გაცემული გრანტების ფარგლებში მოხმარდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობას. 3.1 მილიონი ლარი დაიხარჯა კულტურისა და სპორტის მოღვაწეთა სოციალური დაცვისა და ხელშეწყობის ღონისძიებებს (აღნიშნული თანხა მიზნობრივი გრანტის სახით სამინისტროს გამოუყო საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდმა ქართუმ).

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შემთხვევაში, ათვისებული 15.8 მილიონი ლარიდან, 5.4 მილიონი მოხმარდა დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბებას და მართვას, 3.5 მილიონი კვების პროდუქტების, ცხოველთა და მცენარეთა დაავადებების დიაგნოსტიკას, ხოლო 1.2 მილიონი ლარი სოფლის მეურნეობის პროექტების მართვას.

მიზნობრივი გრანტების ფარგლებში გაწეული ხარჯები სამინისტროების მიხედვით (ლარი)

	2020		2021 (I კვარტალი)	
საჯარო დაწესებულება	გეგმა	ხარჯი	გეგმა	ხარჯი
ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	42,503,809.93	30,307,094.51	6,975,174.63	3,455,336.38
განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	40,696,480.48	16,886,223.73	29,220,905.32	4,523,342.00
გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	28,930,818.98	15,824,000.17	12,836,216.67	2,196,364.52
საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	8,790,731.76	5,155,432.07	1,876,504.51	236,745.79
შინაგან საქმეთა სამინისტრო	7,522,974.21	3,393,999.95	2,268,023.57	428,414.89

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

საინვესტიციო გრანტები

საინვესტიციო პროექტებისთვის მიღებული გრანტების ფარგლებში, 2020 წელს და 2021 წლის პირველ კვარტალში გაწეული ხარჯებიდან, ყველაზე დიდი თანხა მიემართა არაფინანსური აქტივების ზრდაზე - 28.8 მილიონი ლარი. სუბსიდიის სახით გაიცა 8.4 მილიონი ლარი. სუბსიდიების სახით ათვისებულმა თანხამ გეგმურ მაჩვენებელს დაახლოებით 8 მილიონი ლარით გადააჭარბა.



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

საინვესტიციო პროექტებისთვის მიღებული გრანტების ათვისების გეგმურ მაჩვენებელს ყველაზე მეტად, დაახლოებით, 14.3 მილიონი ლარით, **გადააჭარბა ჯანდაცვის სამინისტრომ.** აღნიშნული განპირობებულია სამინისტროს მიერ რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკიდან მიღებული დაუგეგმავი გრანტის ფარგლებში, იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობის პროგრამის 15.3 მილიონი ლარით დაფინანსებამ. კერძოდ, აღნიშნული თანხით დაფინანსდა სამინისტროს, რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკს (KFW) და დანიის ლტოლვილთა საბჭოს შორის გაფორმებული ფინანსური დახმარების (გრანტის) ხელშეკრულებით („ეკონომიკური მონაწილეობა, საცხოვრებლით უზრუნველყოფა და სოციალური ინფრასტრუქტურა იძულებით გადაადგილებულ პირთა და მასპინძელი თემებისათვის") განხორციელებული პროექტების ფარგლებში, გაწეული ხარჯის შესაბამისი დამატებული ღირებულების გადასახადები.

2020 წელს გრანტებით დაფინანსებული საინვესტიციო პროექტების გეგმურ მაჩვენებელს 6.5 მილიონი ლარით ჩამორჩება ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 1.9 მილიონი ლარით - განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, 1.6 მილიონი ლარით - გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. მაგალითად, განათლების მეცნიერების და კულტურის სამინისტროს პროფესიული განათლების პროგრამისთვის (32 14 პროფესიული განათლება I (KfW)) გრანტის სახით გათვალისწინებული იყო 1.9 მილიონი ლარი, რომლის ათვისებამ 0 ლარი შეადგინა. სახელმწიფო ბიუჯეტში არსებული განმარტებით, პროგრამის ფარგლებში 2020 წელს საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვის მიზნით, დამუშავდა ტექნიკური დავალება წინასაკვალიფიკაციო შესყიდვის პროცედურისათვის, და შერჩეული იქნა სავარაუდო საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანიები. ასევე, დასრულდა ტექნიკური დავალების შემუშავება მთავარი საკონსულტაციო კომპანიის შერჩევისათვის შესყიდვის პროცედურის გამოსაცხადებლად.

გრანტებით დაფინანსებული საინვესტიციო პროექტების გეგმიური მაჩვენებლიდან გადახრა (მილიონი ლარი)

	2020	2021 (I კვ)
ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	6.5	1.6
რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	-10.1	7.5
ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	-14.3	
გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	1.6	-0.47
განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	1.9	
დონორების მიერ დაფინანსებული საერთო სახელმწიფოებრივი გადასახდელები	5.8	8.2

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

საგარეო დაფინანსების ფარგლებში განხორციელებული შესყიდვები

2020 წლის თებერვლიდან 2021 წლის მარტის ჩათვლით, სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში დონორის სახსრებით 113 შესყიდვა/ფასების კოტირება გამოცხადდა. დონორის სახსრებით შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ გამოცხადებული ტენდერის პროცედურები შეესაბამება დონორი ორგანიზაციის მიერ გაწერილ პროცედურებს. შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში არ მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტული პროცედურა. თუმცა, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ მომზადებულ გზამკვლევში მითითებულია, რომ სისტემაში ატვირთვის შესაძლებლობა და პროცედურა ჩვეულებრივი ტენდერების იდენტურია. ამასთან, ტენდერს აცხადებს დონორის მიერ გაცემული გრანტის მიმღები სახელმწიფო უწყება, სატენდერო დოკუმენტაციას კი ამზადებს ამ უწყებაში შექმნილი სატენდერო კომისია. შესაბამისად, ელექტრონულ სისტემაში იტვირთება კომისიის ოქმებიც. თუმცა, შემსყიდველი ორგანიზაცია არ არის ვალდებული შესყიდვების ელექტრონული სისტემის გამოყენებით გამოაცხადოს მსგავსი ტენდერი.

ელექტრონულ სისტემაში ატვირთული 113 შესყიდვა/ფასების კოტირებიდან 10 Covid-19-ის წინააღმდეგ სწრაფი რეაგირების პროექტის ფარგლებშია გამოცხადებული. დარჩენილი 103 შესყიდვა უმეტესად ინფრასტრუქტურულ პროექტებს უკავშირდება.

აღნიშნული **103 შესყიდვის ჯამურმა სავარაუდო ღირებულებამ 765 მილიონ ლარზე მეტი შეადგინა.** მათ შორის ყველაზე მეტი შესყიდვა საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა(47) და ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტომ (24) გამოაცხადეს. ხოლო ჯანდაცვის სამინისტროს მიერ გამოცხადებული 10 ტენდერიდან, მხოლოდ 7 შედგა და მათმა ჯამურმა ღირებულებამ 13 მილიონ 800 ათას ლარამდე შეადგინა.

შემსყიდველი	შესყიდვების #
საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი	47
საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო	24
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (Covid-19 სწრაფი რეაგირების პროექტი)	10
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	6
შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია	6
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი	6

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	**5**
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო	**4**
გორის მუნიციპალიტეტის მერია	**2**
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	**1**
სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა	**1**
Save the Children International-ის საქართველოში წარმომადგენლობითი ოფისი	**1**
ჯამი	**113**

წყარო: სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

რაც შეეხება შესყიდვის კატეგორიებს, ამ მიმართულებით მთლიანი ან ნაწილობრივი სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები ლიდერობს (43), საიდანაც 31 შესყიდვა მუნიციპალური განვითარების ფონდს ეკუთვნის.

ყველაზე მეტი თანხა დახარჯა საავტომობილო გზების დეპარტამენტმა - 384,749,356.00 ლარი, რომელიც მხოლოდ ერთი შესყიდვის ფარგლებში დაიხარჯა და სამშენებლო სამუშაოებს მოიცავდა. სხვა შემსყიდველების ხარჯები ასე გადანაწილდა:

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი	**269,860,398.00**
შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია	**35,288,938.00**
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	**30,848,100.00**
სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა	**25,000,000.00**
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	**13,759,776.00**
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	**13,258,000.00**
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო	**3,218,252.00**
საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო	**2,895,990.00**
გორის მუნიციპალიტეტის მერია	**84,835.00**
Save the Children International-ის საქართველოში წარმომადგენლობითი ოფისი	**33,000.00**

წყარო: სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

COVID-19-ის წინააღმდეგ სწრაფი რეაგირების პროექტი

საქართველოსა და მსოფლიო ბანკის ჯგუფში შემავალ რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს შორის 2020 წლის პირველ მაისს გაფორმებული სასესხო შეთანხმების (სესხის ნომერი 9113-GE) და აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკს შორის 2020 წლის 21 მაისის გაფორმებული სასესხო შეთანხმების (სესხის ნომერი L0388A) თანახმად, საქართველომ მიიღო სესხი Covid-19-ის წინააღმდეგ სწრაფი რეაგირების პროექტის განხორციელების მიზნით. პროექტის ამოცანაა საქართველოში Covid-19-ის პანდემიით გამოწვეული საფრთხეების პრევენცია, გამოვლენა და რეაგირება და საზოგადოებრივი ჯანდაცვის მზადყოფნის მიზნით ეროვნული სისტემების გაძლიერება. აღნიშნული პროექტის ფარგლებში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გამოცხადდა რამდენიმე შესყიდვა და ფასთა კოტირება, პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლისათვის საჭირო სხვადასხვა პროდუქტის შესაძენად.

- 2020 წლის 11 აგვისტოს გამოცხადდა ფასთა კოტირება 15 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალების შესყიდვასთან დაკავშირებით. მიმწოდებლად შეირჩა შპს კია საქართველო, რომელიც ერთადერთი პრეტენდენტი იყო.
- 2021 წლის 2 თებერვალს გამოცხადდა ტენდერი Covid-19-ის წინააღმდეგ სწრაფი რეაგირების პროექტის ფარგლებში IT აღჭურვილობის შესასყიდად. როგორც სატენდერო დოკუმენტაციიდან ირკვევა, ჯანდაცვის სამინისტრო 16 მონიტორის, 13 დესკტოპ კომპიუტერის, 9 ლეპტოპის, ერთი მონაცემების შესანახი ქსელისა და ტექნიკური დახმარების მომსახურების შესყიდვას გეგმავდა. დოკუმენტაციაში არ არის მითითებული თუ რა მიზნობრიობით აპირებდა სამინისტრო აღნიშნული ტექნიკის შესყიდვას, ამასთან, არც შესყიდვის სავარაუდო ფასია მითითებული. ტენდერი არ შედგა, რადგან არც ერთმა მიმწოდებელმა არ გამოთქვა მონაწილეობის სურვილი.
- მსგავსი ტენდერი იმავე გრანტის საფუძველზე 2020 წლის 21 დეკემბერსაც გამოცხადდა, თუმცა ამ შემთხვევაში, შესყიდვა სასწრაფო დახმარებისათვის საჭირო IT აღჭურვილობას მოიცავდა. გამოვლინდა 2 გამარჯვებული (2 სხვადასხვა ლოტში), შპს ალტა (შეთავაზებული ფასი: 1,275,910.00) და შპს ნეოტექი (შეთავაზებული ფასი: 1,102,400.00), რომლის შესახებ დოკუმენტები შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში 2021 წლის თებერვალშია გამოქვეყნებული და ამ ეტაპზე ტენდერი შერჩევა/შეფასების ეტაპზეა. თუმცა, შესყიდვების პორტალზე შედეგების გრაფაში ატვირთულია მოწვევა ხელშეკრულებებზე, რომლის თანახმადაც, ორივე კომპანიასთან კონტრაქტი მათ მიერ შეთავაზებული ფასით ფორმდება.

- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ 2020 წლის დეკემბერში კიდევ ერთი ტენდერი გამოაცხადდა, სასწრაფო სამედიცინო დახმარების სერვისის უწყვეტად, ოპერატიულად და ხარისხიანად მიწოდების მიზნით, სამედიცინო მოწყობილობების შესასყიდად. აღნიშნული ტენდერიც შერჩევა/შეფასების ეტაპზეა, მონაწილეობა კი ექვსმა კომპანიამ მიიღო. როგორც ტენდერის შედეგებში ატვირთული 2021 წლის 5 მარტის წერილიდან ჩანს, ხელშეკრულების გასაფორმებლად მოწვეულია შპს მოწინავე სამედიცინო ტექნოლოგიები, შეთავაზებული კონტრაქტის ღირებულება კი 1,790,000 ლარია.

- 15 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალების შესაძენად ჯანდაცვის სამინისტრომ ფასთა კოტირება 3 დეკემბერს გამოაცხადა. შესყიდვების ელექტრონულ სისტემის მინიჭებული სტატუსის მიხედვით, პროცედურა არ შედგა, რადგან ინტერესი არც ერთ მიმწოდებელს არ გამოუთქვამს.

- ცენტრალური სადისპეჩეროს გამოძახებათა მართვის მოდულის ოპერატიული ფუნქციონირებისთვის საჭირო სერვერების, მეხსიერების და შესაბამისი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფი მოწყობილობების შეძენისათვის გამოცხადდა ტენდერი. შესყიდვაში მხოლოდ ერთი პრეტენდენტი იღებდა მონაწილეობას, რომელიც გამოვლინდა გამარჯვებულად. შედეგების თანახმად, 566,884.00 ლარის ღირებულების ხელშეკრულებაზე ხელმოსაწერად მოწვეულ იქნა შპს "იუჯითი".

- აღნიშნული მიზნობრიობით ტენდერი 26 ოქტომბერსაც გამოცხადდა, თუმცა 10 ნოემბერს სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით, ტენდერი შეწყდა, რადგან სპეციფიკაციები საჭიროებდა გარკვეულ მოდიფიკაციას.

- 26 ოქტომბერსვე იმავე მიზნობრიობით გამოცხადებული სხვა ტენდერი წარმატებით დასრულდა და 268,776.00 ლარის ღირებულების ხელშეკრულებაზე ხელმოსაწერად შპს გრინ სისტემსი შეირჩა. 26 ნოემბერს სამინისტრომ გამოაცხადა პერსონალური დაცვის სამედიცინო საშუალებების შესყიდვა. ტენდერში 5 პრეტენდენტი დაფიქსირდა, მიუხედავად იმისა რომ შესყიდვების ვებ-გვერდზე ტენდერის სტატუსი ჯერ კიდე შერჩევა/შეფასებაა, შედეგებში ატვირთული დოკუმენტაციის მიხედვით, შეირჩა შპს ემ აი დი, რომლის საბოლოო შეთავაზებამ 5,400,000.00 ლარი შეადგინა.

- 11 სექტემბერს სამინისტრომ 33 ერთეული მაღალი გამავლობის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ავტოსატრანსპორტო საშუალებისა და 5 ერთეული მაღალი გამავლობის რეანიმობილის შესყიდვა გამოაცხადა. მონაწილეობა ორმა კომპანიამ მიიღო, გამარჯვებულად კი შპს აკა გამოცხადდა - 2,189,340.00 ევროს შეთავაზებით.

- 11 აგვისტოს სამინისტრომ გამოაცხადა ფასთა კოტირება 15 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალების შესყიდვასთან დაკავშირებით. აღნიშნულ შემთხვევაში, ინტერესი მხოლოდ შპს კია საქართველომ გამოხატა.

- 12 აგვისტოს სამინისტრომ გამოაცხადა ფასთა კოტირება ნიმუშის შესაგროვებელი კომპლექტის შესყიდვასთან დაკავშირებით (Sample collection tubes with VTM 2-3 ml and two plastic swab applicators). წინადადება მხოლოდ შპს ბიო-მედმა წარადგინა, თუმცა 18 სექტემბერს პროცედურა შეწყდა იმ მიზეზით, რომ პროდუქტზე მოთხოვნა გაიზარდა და სამინისტრო აპირებდა გაზრდილ რაოდენობაზე გამოეცხადებინა ხელახალი კოტირება.

Covid-19-ის წინააღმდეგ სწრაფი რეაგირების პროექტის ფარგლებში განხორციელებული შესყიდვების შესწავლისას, IDFI-მ გამოავლინა შემდეგი საეჭვო გარემოებები: მაგალითად, 11 აგვისტოს გამოცხადებული 15 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალების ფასთა კოტირების კონტრაქტის მინიჭების ცნობაში (Contract Award Notice) მიმწოდებლად მითითებულია ერთობლივი საწარმო შპს კია საქართველო და შპს ჯი თი მოტორსი, ხელშეკრულების თანხა კი 1,166,466 ლარს შეადგენს. კომპანიის დირექტორი გიორგი ამაშუკელია, რომელიც 2014 წელს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილის თანამდებობას იკავებდა, მოგვიანებით მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორი იყო, შემდგომ კი მთავრობის ადმინისტრაციაში რეგიონებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსად დაინიშნა. რაც შეეხება მეწილეებს, შპს კია საქართველოს ორი სხვა კომპანია ფლობს, შპს იბერია ბიზნეს ჯგუფი და შპს ბუტიკგრუპი. ბუტიკგრუპის 100%-იანი წილის მფლობელი შპს გტ ბენეფიტსია, დირექტორი კი ზურაბ ტუკვაძე. შპს გტ ბენეფიტსი-ის 50-50 პროცენტიან წილებს ზურაბ ტუკვაძე და დავით გოგორიშვილი ფლობენ. ტუკვაძის სხვა კომპანიას, სოლემარტს, 2020 წლის მაისში საქართველოში სწრაფი ტესტები უნდა შემოეტანა. საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრომ 2020 წლის 24 აპრილს გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულება გაუფორმა, რომლის ფარგლებშიც კორონა ვირუსის გამოსავლენად სწრაფი ტესტები შეიძინა. ამ შესყიდვის ჯამური ღირებულება 930,000 ლარი იყო, სულ 30,000 ერთეული. მოგვიანებით ხელშეკრულება პროდუქტის დაგვიანების გამო შეწყდა. თუმცა, მანამდე საერთაშორისო გამომძიებელ ჟურნალისტთა პლატფორმამ გამოიძია, რომ ტესტები სინამდვილეში სხვა წარმოების იყო და გადაფუთული იყო ჰოლანდიური წარმოების ეტიკეტში. აღნიშნული შემთხვევა IDFI-ის Covid-19-თან დაკავშირებული შესყიდვების მონიტორინგის ანგარიშშიც მოხვდა, რადგან ტუკვაძის ბიზნესპარტნიორები სხვა კომპანიებში მმართველი პარტიის შემომწირველები აღმოჩნდნენ.

რაც შეეხება შპს კია საქართველოს მეორე მეწილე კომპანიას, შპს იბერია ბიზნეს ჯგუფს, მისი 100% წილის მფლობელია შპს აი ბი ჯი ჰოლდინგი, რომელსაც თავის მხრივ ფლობენ ტარიელ ხეჩიკაშვილი (24%), რომელიც 2018 წლამდე სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის თანამდებობას იკავებდა და მისი მეუღლე ეკატერინე ინასარიძე (29.22%).

რაც შეეხება ჯი-თი მოტორსს, თავად კომპანიამ 2016 წელს მმართველ პარტიას 1,000 ლარი შესწირა, კომპანიის დირექტორმა, თემურ უსტიაშვილმა კი - 60,000 ლარი. შპს ჯი-თი მოტორსის 100%-იან წილს შპს ჯი-თი გრუპი ფლობს, რომლის მეწილეები არიან გიორგი თავდიშვილი, გიორგი გველესიანი და ზემოთ ნახსენები თემურ უსტიაშვილი. გიორგი გველესიანს ქართული ოცნებისთვის და სალომე ზურაბიშვილისთვის 2016-2018 წლებში 60,000-60,000 ლარი აქვს შეწირული.

ასევე, 268,776.00 ლარის ღირებულების ერთ-ერთ ტენდერში შერჩეული შპს გრინ სისტემსის 34%-იანი წილის მფლობელი ლევან ჩაჩუაა, რომელსაც 2016-2017 წლებში მმართველი პარტიისთვის ჯამში 70,000 ლარი აქვს შეწირული. აღსანიშნავია, რომ ტენდერში სხვა მონაწილე არ ყოფილა.

პანდემიასთან ბრძოლის 1 წლის ხარჯები

2020 წელს, პანდემიასთან ბრძოლის ფარგლებში შემუშავებული ანტიკრიზისული გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფისათვის, სახელმწიფო ბიუჯეტში შევიდა შესაბამისი ცვლილებები. ამასთან, ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში განცალკევებით გამოიყო კორონავირუსთან ბრძოლის ფარგლებში მიმართულებების მიხედვით ათვისებული თანხების შესახებ ინფორმაცია. ქვეყანაში ვირუსის გავრცელების (პირველი დადასტურებული შემთხვევა 2020 წლის 26 თებერვალი) და ანტიკრიზისული გეგმის შემუშავების (2020 წლის 24 აპრილი ანტიკრიზისული გეგმის წარდგენა) პერიოდების გათვალისწინებით, საქართველოში პანდემიასთან ბრძოლის 1 წლის ხარჯებს, ასახავს 2020 წლის და 2021 წლის პირველი კვარტლის დაჯამებულ მონაცემებს.

ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების მიხედვით, პანდემიის დაწყებიდან ერთი წლის განმავლობაში, ანტიკრიზისული გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებებისთვის სულ დაიხარჯა 4.15 მილიარდი ლარი, რომლის დაფინანსების მთავარ წყაროს საზღვარგარეთიდან მიღებული ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტები და გრანტები წარმოადგენდა. ამ თანხიდან, ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებას მოხმარდა 594.4 მილიონი ლარი, მოსახლეობის სოციალურ დახმარება 1.13 მილიარდი ლარი, ბიზნესის მხარდაჭერას 786.9 მილიონი ლარი, ხოლო დანარჩენი 1.63 მილიარდი ლარი ეკონომიკის ხელშეწყობის დამატებით პაკეტებს.

პროექტის ფარგლებში, IDFI-მ ანტიკრიზისული გეგმით გათვალისწინებული სხვადასხვა პროგრამის განმახორციელებელი უწყებისგან გამოითხოვა დეტალური ინფორმაცია, რომლის ანალიზი წარმოდგენილია ქვემოთ.

ანტიკრიზისული გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების ხარჯები (მილიონი ლარი)



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ჯანმრთელობის დაცვის მიმართულება

პანდემიის დაწყებიდან ერთი წლის განმავლობაში, ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით სულ 594.4 მილიონი ლარი დაიხარჯა. 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში ამ მიმართულებით გაწეული ხარჯები წარმოდგენილია ჩაშლილად. კერძოდ, 2020 წელს გაწეული 417.8 მილიონი ლარიდან ყველაზე დიდი თანხა (156.7 ლარი) მოხმარდა ვირუსის გავრცელების საწინააღმდეგო საშუალებების შესყიდვას და საკარანტინო მომსახურების ანაზღაურებას. ხოლო დანარჩენი თანხა დაიხარჯა შემდეგი მიმართულებით: მკურნალობის ხარჯების ანაზღაურება 77.8 მილიონი ლარი, სამედიცინო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურა - 68.7 მილიონი ლარი და Covid-19-ის ვაქცინაზე ხელმისაწვდომობა - 16.7 მილიონი ლარი.

2021 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით სულ დახარჯულია დამატებით 176.6 მილიონი ლარი. როგორც ირკვევა, ეს თანხა მოხმარდა ინდივიდუალური დაცვის საშუალებების, კორონავირუსის სადიაგნოსტიკო ტესტების, საკარანტინე სივრცეების მომსახურების და ვაქცინების შესყიდვას. თუმცა, როგორ გადანაწილდა ეს თანხა, ჩაშლილად აღარ არის წარმოდგენილი. 2021 წელს ჯანმრთელობის მიმართულებით გაწეული ხარჯების ჩაშლილი მონაცემების დაფარვა, სავარაუდოდ, განპირობებულია ვაქცინების შესყიდვებზე გაწეული ხარჯების დამალვის მოტივით.

2020 წელს ჯანმრთელობის დაცვის მიმართულება (მილიონი ლარი)	სულ 594.4	
	2020	2021 (I კვ)
ვირუსის გავრცელების საწინააღმდეგო საშუალებების შესყიდვა (ტესტები, პირადი დაცვის საშუალებები და სხვა)	156.7	176.6
მკურნალობის ხარჯების ანაზღაურება	77.8	
Covid-19-ის ვაქცინაზე ხელმისაწვდომობა	16.7	
Covid-19-დან გამომდინარე სამედიცინო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურა (მათ შორის, სს ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი)	68.7	
ახალ კორონავირუსთან დაკავშირებული საკარანტინო მომსახურების ანაზღაურება	97.9	

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

პროექტის ფარგლებში, IDFI-მ ჯანდაცვის სამინისტროდან დამატებით, ასევე მოითხოვა ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით გაწეული ხარჯების შესახებ დეტალური ინფორმაცია. მათ შორის: კორონავირუსით დაავადებული პაციენტების მკურნალობისთვის გაწეული ხარჯების ჩამონათვალი, სამედიცინო დაწესებულებების და პაციენტების რაოდენობის მითითებით; კორონავირუსის ტესტების და ვირუსის გავრცელების საწინააღმდეგო პირადი დაცვის საშუალებების შესყიდვაზე გაწეული ხარჯები, შესყიდული საქონელის და მომწოდებელი კომპანიის მიხედვით. ასევე, სამედიცინო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის მოწყობაზე გაწეული ხარჯები, განხორციელებული სამუშაოების და სამედიცინო დაწესებულებების მითითებით.

ვირუსის გავრცელების საწინააღმდეგო საშუალებების შესყიდვა (ტესტები, პირადი დაცვის საშუალებები და სხვა)

ჯანდაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ვირუსის გავრცელების საწინააღმდეგო საშუალებების, მათ შორის, კოვიდ ტესტების შესყიდვაში სამინისტროს ხაზით 146,840,376 ლარი დაიხარჯა. ხარჯი სამინისტროს დაქვემდებარებულმა სხვადასხვა უწყებებმაც გასწეს, თავად სამინისტროს აპარატმა სამედიცინო პროდუქციაში 9 მილიონ ლარზე მეტი და 3 მილიონ დოლარზე მეტი გადაიხადა, რაც ჯამში 21 მილიონ ლარს აჭარბებს. 1,670,320 ლარის ღირებულების პროდუქცია ა(ა)იპ სამედიცინო ჰოლდინგმა შეიძინა. 33.5 მლნ დოლარზე მეტია (111.5 მლნ ლარზე მეტი) დახარჯული ტესტების შესყიდვაში, თუმცა ინფორმაციაში დეტალურად არ არის მითითებული თუ რომელი პროექტიდან და რომელმა უწყებამ შეისყიდა ტესტები. საგანგებო სიტუაციების მართვისა და კოორდინაციის ცენტრმა აღნიშული მიზნობრიობით 1,344,545 ლარი დახარჯა დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრმა და ლუგარის ლაბორატორიამ ერთობლივად - 10 მილიონ ლარზე მეტი.

აღნიშნული პროდუქტის რამდენიმე მიმწოდებლ კომპანიებზე IDFI Covid-19-თან დაკავშირებული შესყიდვების მონიტორინგის ფარგლებში წერდა, მათ შორის შპს Weekend, რომლის მეწილე და მისი ბიზნეს პარტნიორები მმართველი პარტიის აქტიური შემომწირველები არიან. შპს ჯეოფერუმი, რომელიც ავეჯის დამზადების სფეროში მოღვაწეობდა, მისი მეწილე, ლევან ლურსმანაშვილი კი ქართული ოცნებისა და სალომე ზურაბიშვილის შემომწირველი იყო, პანდემიის დაწყებიდან მალევე ჯანდაცვის მოწყობილობების მიმწოდებელი გახდა. ლურსმანაშვილმა ამის შემდეგ, 2020 წლის სექტემბერშიც შესწირა მმართველ პარტიას 7,000 ლარი. ამასთან, გვხვდება კომპანიები, რომლებიც პანდემიის დაწყებისას დაარსდნენ და ყველანაირი გამოცდილების გარეშე, დაფუძნებიდან მალევე მიიღეს სახელმწიფოსგან შესყიდვის ხელშეკრულებები.

ა(ა)იპ სამედიცინო ჰოლდინგმა რომელიც, 2020 წლის თებერვალში ჯანდაცვის მინისტრის ინიციატივით, „მენეჯმენტის ეფექტურობის გაზრდისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით" შეიქმნა, შემდეგი ხარჯი გასწია:

საქონლის დასახელება	თანხა (ლარი)	რაოდენობა
RX-32x22 სახის ფარი 32x22 სმ	560.00	200
ბახილები (პოლიეთილენის)	8,820.00	252,000
დ ხელთათმანი ლატექს-არასტ.-ტალკით-ზომა (L)	19,720.00	34,000
დ ხელთათმანი ლატექს-არასტ.-ტალკით-ზომა (M)	37,700.00	65,000
ნიღაბი ერთჯერადი 3-შრიანი რეზინის სამაგრით	59,724.00	378,000
სამედიცინო კომბინიზონი	945,000.00	63,000
სამედიცინო ქუდი ერთჯერადი (სტრიპი)	22,176.00	252,000
სამედიცინო ხალათი	441,000.00	126,000
ხელთათმანი ლატექსის არასტერილური M* `DDM`	620.00	1,000
ხელის სადეზინფექციო ხსნარი	135,000.00	20,000
ჯამი:	**1,670,320.00**	**1,191,200**

გამარტივებული შესყიდვების გზით 1 მლნ 400 ათას ლარზე მეტი დაიხარჯა სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მიერ სადეზინფექციო საშუალებებში, დამცავ პროდუქტებსა და ტესტირებისათვის საჭირო სახარჯ მასალებში.

ჯანდაცვის სამინისტრომ შეისყიდა კოვიდ ტესტები და პირადი დაცვის საშულებები. როგორც სწრაფი, ისე PCR ტესტების შესყიდვაში ჯამურად დაიხარჯა 33,637,110 აშშ დოლარი.

ჯანდაცვის სამინისტროს მიერ შესყიდული ტესტები	რაოდენობა	ფასი (აშშ დოლარი)
STANDARD Q COVID-19 Ag test	2,650,000	12,274,250
Thermos Scientifics COVID-19 tests with consurambales (PCR)	250,000	5,685,100
KIT COBAS 6800/8800 SARS-COV-2 192T (with consumables for 150 000 tests)	150,000	4,391,400
Nucleic Acid Diagnostic Kit 124 test PCR	400,000	4,200,000
AG/AB combined package rapid tests	400,000	2,068,500
TaqPath™ COVID-19 CE-IVD RT-PCR tests and KingFisher FLEX extraction kits	150,000	1,675,000
Rapid COVID-19 Test Cassette	197,000	1,024,400
Standard COVID-19 AG Test	100,000	918,750
Procurement of Standard COVID-19 Antigen Tests	50,000	612,200
Xpert Xpress SARS-CoV-2 kit/10 tests (2000 pack)	20,000	478,240
PCR tests for Procleix Panther System for Automated NAT (Grifols) device (10000 kit)	240,000	309,270
ჯამი:	**4,607,000**	**33,637,110**

რაც შეეხება ჯანდაცვის სამინისტროსთვის კორონავირუსის ტესტების მიმწოდებლებს, ყველაზე მეტი თანხა - 16 მილიონ დოლარამდე - მიიღო SD BIOSENSOR-მა, რომელიც საერთაშორისო კომპანიაა. 7 მილიონ დოლარზე მეტით მეორე ადგილზეა ეი ბი ემ მედიქალი, რომელიც სამედიცინო პროდუქტების აქტიური მიმწოდებელია. კომპანიის მეწილე, ალექსანდრე ხეთერელი მმართველი პარტიის შემომწირველია (60,000 ლარი 2016 წელს). 4 მლნ დოლარზე მეტი მიიღო შპს მირკომ. SANSURE BIOTECH INC საერთაშორისო კომპანიაა, რომელის მიერ მოწოდებულ პროდუქტებში სამინისტრომ 4 მლნ დოლარზე მეტი გადაიხადა. Bio Gene LTD/Green Lab და Lux Med LTD-იც საერთაშორისო კომპანიებია, ხოლო UNICEF საერთაშორისო ორგანიზაცია.

მიმწოდებელი	ფასი (აშშ დოლარი)
SD BIOSENSOR	15,873,700
ABM LLC	7,360,100
MIRKO LLC	4,391,400
SANSURE BIOTECH INC	4,200,000
Bio Gene LTD/Green Lab	1,024,400
UNICEF	478,240
Lux Med LTD	309,270
ჯამი:	**33,637,110**

პირადი დაცვის საშუალებებში სამინისტრომ 3 მლნ დოლარზე მეტი გადაიხადა. ამ შემთხვევაშიც მიმწოდებელი კომპანიების უმრავლესობა საერთაშორისოა, ერთი კი ქართული. ქართულმა შპს ემ აი დი-იმ ყველაზე მეტი, 1,600,000 დოლარზე მეტი მიიღო და სამინისტროს მიაწოდა სხვადასხვა დამცავი საშუალებები.

დაავადებათა კონტროლის ცენტრმა კოვიდის ტესტების შესასყიდად 5 მილიონ ლარამდე შესყიდვა განახორციელა. სამინისტროს მსგავსად, აღნიშნულ შესყიდვებშიც შპს მირკო და შპს ეი ბი ემი ლიდერობენ. მსხვილი რაოდენობით თანხები აქვს მიღებული შპს ირისესაც.

მიმწოდებელი	თანხა (ლარი)
შპს ეი ბი ემ	2,867,200
შპს ირისე	1,377,480
შპს მირკო	307,120
unc fund	165,361
შპს გრინ ლაბი	99,200
ჯამი:	**4,816,361**

ცენტრმა ლუგარის ლაბორატორიისათვის შეისყიდა კოვიდ ტესტები, რომელთა ჯამურმა ღირებულებამ 5 მლნ ლარზე მეტი შეადგინა. აღნიშნულ შემთხვევაშიც მიმწოდებლებიდან ყველაზე დიდი თანხა შპს ეი ბი ემ მედიკალმა მიიღო.

მიმწოდებელი	თანხა (ლარი)
შპს ეი ბი ემ	4,012,519
შპს ირისე	648,200
შპს EMD Group	145,600
შპს მირკო	123,644
შპს ოქს-ჯენი	90,229
შპს ერმედ ჯორჯია	85,590
შპს პრიმამედი	18,400
შპს სინეკტიკსი	3,200
ჯამი:	**5,127,382**

დამატებით, პირადი დაცვის აღჭურვილობაში დაავადებათა კონტროლის ცენტრმა 383,000 ლარზე მეტი დახარჯა, ლუგარის ლაბორატორიისთვის კი ამავე მიზნობრიობით 473,000 ლარამდე ღირებულების შესყიდვა განხორციელდა.

სამედიცინო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურა და მკურნალობის ხარჯების ანაზღაურება

ვირუსით დაავადებული პაციენტების მკურნალობასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების შესახებ მოთხოვნის პასუხად, სამინისტრომ IDFI-ს განუმარტა, რომ Covid-19-ის მართვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული მომსახურების (Covid-19-ის დადასტურებული შემთხვევების დიაგნოსტიკა/მკურნალობის) ფარგლებში მომსახურება დაასრულა 141,752 პირმა. ხოლო გაწეული ხარჯების მიმართებით, მოწოდებულია მხოლოდ Covid-19-ის მართვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ანაზღაურებას დაქვემდებარებული თანხების შესახებ ინფორმაცია. კერძოდ, როგორც ირკვევა, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში (Covid-19) მართვისთვის მობილიზებულ სამედიცინო დაწესებულებებში დასაქმებული პერსონალის (რეანიმატოლოგი, ინფექციონისტი, თერაპევტი და სხვა ექიმი სპეციალისტი, უმცროსი ექიმი, ექთანი, სანიტარი) შრომის ანაზღაურებისთვის დამატებით გამოიყო 38.4 მილიონი ლარი. მათ შორის, ა(ა)იპ – საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგის მეშვეობით დამატებითი პერსონალის მობილიზებას 113.7 ათასი ლარი. საკარანტინე სივრცეების სამედიცინო და სხვა მომსახურებისთვის 8 მილიონი ლარი. მათ შორის, საკარანტინე სივრცეების სამედიცინო პერსონალით უზრუნველყოფა - 4,4 მილიონი ლარი, საკარანტინე სივრცეების სამედიცინო დანიშნულების საგნებით, პირადი დაცვის საშუალებებით, მედიკამენტებით უზრუნველყოფა - 2 მილიონი ლარი, საიზოლაციო სივრცეში მყოფი (ბინაზე ან კოვიდსასტუმრო) Covid-19-ის დადასტურებული დიაგნოზის მქონე ბენეფიციარების ამბულატორიულ დიაგნოსტიკა - 900 ათასი ლარი.

ანაზღაურებას დაქვემდებარებული თანხები (ლარი)



წყარო: საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრო

სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, ა(ა)იპ სამედიცინო ჰოლდინგმა, გრანტის სახით მიიღო შემოსავლები, რათა მის მართვაში მყოფი რუხის რესპუბლიკური საავადმყოფოსათვის განეხორციელებინა სამედიცინო აპარატურის შესყიდვა - 155,520 ლარის ოდენობით.

რაც შეეხება სამედიცინო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოებზე გაწეულ ხარჯებს, სამინიტრომ განმარტა, რომ სესხების ფარგლებში მსგავსი სამუშაოები ჯერ არ განხორციელებულა.

ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, 2020 წელს Covid-19-ზე რეაგირების საგანგებო ღონისძიებების უზრუნველსაყოფად სამედიცინო დაწესებულებათა აღჭურვა/რეაბილიტაციის ღონისძიებების დასაფინანსებლად მიიმართა 68.8 მლნ ლარი, მათ შორის 33.8 მლნ ლარი - ინფექციური პათოლოგიის მართვის ხელშეწყობის ღონისძიებების ფარგლებში, სს „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის" პროფილური შენობით უზრუნველყოფისათვის.

საკარანტინო მომსახურების ანაზღაურება

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2020 წლის მარტიდან 2021 წლის მარტის ჩათვლით, სასტუმროებში საკარანტინე სივრცეების მოსაწყობად, ჯამში 76 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა (თანხა მოიცავს როგორც სასტუმროს ოთახების, ისე კვებისა და დეზინფექციის ხარჯსაც).



წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

როგორც გრაფიკიდან ჩანს, 2021 წლიდან ხარჯები მნიშვნელოვნადაა შემცირებული.

ხელშეკრულება სულ 178 სასტუმროსთან გაფორმდა, მათ შორის ყველაზე მეტი თანხა - 9,473,295 ლარი სს მეტრო ეიფორია ჰოტელ ბათუმმა მიიღო. 10 სასტუმრო რომელსაც სახელმწიფომ საკარანტინე სივრცეებში ყველაზე მეტი გადაუხადა, შემდეგნაირად გამოიყურება:



წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

IDFI პროექტის ფარგლებში ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ აღნიშნული მიზნობრიობით განხორციელებულ შესყიდვებს აკვირდებოდა, რომლის ფარგლებშიც, ყველაზე პრობლემურ საკითხად ფასების ლიმიტების დადგენის დაგვიანება გამოიკვეთა. კერძოდ, საქართველოს მთავრობამ 4 მაისს მიიღო დადგენილება, რომლითაც ცვლილებები შევიდა „2020 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ" დადგენილებაში. დოკუმენტის მე-4 მუხლის "ა)" პუნქტით განისაზღვრა, რომ საკარანტინე სივრცეების სასტუმრო მომსახურება ანაზღაურდება ფაქტობრივი ხარჯით, თუმცა არაუმეტეს თითოეულ ბენეფიციარზე დღიური 100

ლარისა. აღნიშნული ცვლილების მარტში მიღება სახელმწიფოს მისცემდა მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსის დაზოგვის საშუალებას, რადგან IDFI-ის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ ლიმიტების ამოქმედების შემდეგ, მხოლოდ ერთ სასტუმროში 120 ოთახის დაქირავება ერთი თვით ტურიზმის ადმინისტრაციას 1.1 მილიონი ლარით იაფი დაუჯდა, ვიდრე დადგენილების ამოქმედებამდე იმავე სასტუმროს იდენტური მომსახურება. პარალელურად, რამდენიმე სასტუმრო სახელმწიფოს ოთახებს უფასოდ უთმობდა და ტურიზმის ადმინისტრაცია მათ მხოლოდ დეზინფექციით უზრუნველყოფდა.

კოვიდსაწინააღმდეგო ვაქცინაზე ხელმისაწვდომობა

საქართველოში კორონავირუსის წინააღმდეგ ვაქცინაციის პროცესი 2021 წლის 15 მარტს დაიწყო. ქვეყანამ 13 მარტს ***ასტრაზენეკას*** 43,200 დოზა ვაქცინა მიიღო, რომელიც თავდაპირველად ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ სამედიცინო პერსონალისათვის. 6 მაისს ქვეყანაში ამავე ვაქცინის 43,000 დოზა შემოვიდა. 24 მარტს, შემოვიდა ***ფაიზერის*** 29,250 დოზა. 30 აპრილს საქართველომ ***სინოფარმის*** ვაქცინის 100,000 დოზა მიიღო, რომელთან ერთადაც უფასოდ გადმოგვეცა ***სინოვაკის*** 100,000 დოზაც. ჯანდაცვის სამინისტროს მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 26 მაისს ქვეყანამ დამატებით მიიღო 1,170 დოზა ***ფაიზერის*** ვაქცინა.

აღნიშნული მონაცემებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მაისის მდგომარეობით ქვეყანაში ჯამურად 316,620 დოზა კოვიდსაწინააღმდეგო ვაქცინა შემოვიდა. ამ რაოდენობის ვაქცინის სრულად გამოყენების შემთხვევაში შესაძლებელი იყო 158,310 ადამიანის ორჯერადად აცრა.

IDFI-მ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან გამოითხოვა ინფორმაცია ვაქცინების ფასებთან დაკავშირებით, ასევე ნებისმიერი მიმოწერა ვაქცინების შესყიდვის პროცესთან მიმართებით. მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სამინისტროს მიერ ვაქცინების გლობალურ ალიანსთან და მწარმოებელ კომპანიებთან გაფორმებული აქვს კონფიდენციალურობის შეთანხმება, რის გამოც ფასების გასაჯაროება შეუძლებელია. მწარმოებელ კომპანიებთან კომუნიკაციის დოკუმენტაცია კი წარმოადგენს მათ კომერციულ საიდუმლოს.

2021 წლის 29 ივნისს ცნობილი გახდა, რომ აუდიტის სამსახური ჯანდაცვის სამინისტროსა და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის შესყიდვებს შეისწავლის.

ჯანდაცვის მიმართულებით განხორციელებული შესყიდვები

IDFI-ის მიერ პანდემიის დაწყებიდან დღემდე Covid-19-თან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვების მონიტორინგის მონაცემებით, ჯანდაცვის სფეროს პროდუქტებში 168 მილიონ 300 ათას ლარზე მეტი დაიხარჯა. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მონიტორინგი უმეტესად გამარტივებულ შესყიდვებს მოიცავდა, რადგან როგორც პანდემიის დასაწყისში, ისე მოგვიანებითაც, მსგავსი პროდუქტების უდიდესი უმრავლესობის შეძენა სწორედ გამარტივებული შესყიდვების გზით ხდებოდა. უშუალოდ ჯანდაცვის სფეროს მომსახურებებში 148 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა. აღნიშულ კატეგორიაში შედის ე.წ. „საწოლფონდის" მობილიზება.

კლინიკებში დამატებითი საწოლების მობილიზების მიზნით, სოციალური მომსახურების სააგენტომ შესყიდვების სააგენტოსგან, 2020 წლის ივლისიდან ნოემბრის ჩათვლით, ჯამში 98.5 მილიონი ლარის ღირებულების ხელშეკრულების შეთანხმება მოითხოვა. ერთ-ერთი მოთხოვნა სააგენტომ 2 ოქტომბერს წარმოადგინა, ჯამური ღირებულებით 48 მლნ ლარი. დოკუმენტაციის მიხედვით, ამ მოთხოვნის საფუძველზე საწოლების მობილიზება უნდა მომხდარიყო 2020 წლის 9 ოქტომბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2020 წელს სოციალური მომსახურების სააგენტოს სამართალმემკვიდრე გახდა სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო. 2021 წლის იანვრის დასაწყისში, სააგენტომ მოითხოვა 147,706,524 ლარის პირდაპირი შესყიდვის გზით განკარგვა ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით. სააგენტო მართავს სხვადასხვა ჯანდაცვის პროგრამას, მათ შორის კოვიდ მიმართულების გარკვეულ ნაწილს. როგორც მოთხოვნის ჩაშლილი დოკუმენტებიდან ირკვევა, ხსენებული 148 მილიონამდე ლარიდან 100 მლნ სწორედ კოვიდის მართვისათვის იყო განკუთვნილი. ხელშეკრულებების ანალიზით დადგინდა, რომ კოვიდის მიმართულებით კლინიკების მობილიზებაში სააგენტომ 48 მილიონ ლარამდე დახარჯა.

ჟანგბადის წარმოების მოწყობილობის შესაძენად სახელმწიფომ 3 მილიონ ლარზე მეტი გადაიხდა, რომლისთვისაც პროცესში ჩაერთო შპს აქტივების მართვისა და განვითარების კომპანია. 17 ნოემბერს სახელმწიფო კომპანიამ 672,404 ევროს ღირებულების გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულება გააფორმა თურქულ კომპანია İDEAL MAKİNA-სთან. იქიდან გამომდინარე, რომ შპს აქტივების მართვისა და განვითარების სააგენტო უძრავი ქონების სფეროზეა ორიენტირებული, ჟანგბადის წარმოებისათვის საჭირო ტექნოლოგიების შესყიდვა არ უნდა წარმოადგენდეს ამ ორგანიზაციის პრეროგატივას. მიუხედავად ამისა, მთავრობის მიერ სწორედ ამ ორგანიზაციის შერჩევა შეიძლება იმით იყოს გამოწვეული, რომ დამატებითი ფინანსური რესურსის მობილიზების გარეშე, ამავე შპს კაპიტალში არსებული თანხის გაუხარჯავი ნაწილით მომხდარიყო საჭირო პროდუქტის შესყიდვა.

16 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა სამედიცინო მოწყობილობებსა და ფარმაცევტულ პროდუქტში. პანდემიის დაწყებისას, აღნიშნული კატეგორიიდან ყველაზე დიდი თანხა პირბადეების შეძენასა და დამზადებაზე მოდიოდა. თუმცა, მთელი პერიოდის განმავლობაში პირბადეების, ხელთათმანების, დამცავი ფარებისა და კომბინიზონების შესყიდვები აქტიურად მიმდინარეობდა.

IDFI-ის მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა რიგი შემთხვევები, როცა გამარტივებული შესყიდვების ხელშეკრულებები უფორმდებოდათ მმართველი პარტიის შემომწირველი ან პარტიასთან სხვა გზებით დაკავშირებული პირების კომპანიებს. ხშირი იყო ახლად დაარსებული ან სრულიად განსხვავებულ სფეროში მოღვაწე კომპანიებისათვის პირდაპირი ხელშეკრულებების გაფორმება.[1]

სისტემურ პრობლემად შეგვიძლია მოვიაზროთ პანდემიის დასაწყისში გამარტივებული შესყიდვები ხელშეკრულებების დაგვიანებით ატვირთვა სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში. ამასთან, მოხერხდა რამდენიმე უწყების იდენტიფიცირება, რომლებიც მსგავს ხელშეკრულებებს საერთოდ არ აქვეყნებდნენ. აღნიშნულთან დაკავშირებით IDFI-იმ მიმართა სასამართლოს და კვლავ აგრძელებს საკითხის შესწავლას.

Covid-19-თან დაკავშირებული შესყიდვების დიდი ნაწილი პანდემიიდან 1 წლის შემდეგაც გამარტივებული შესყიდვის გზით ხორციელდება, რაც ხელს უწყობს კონკურენციის შეზღუდვასა და კორუფციული რისკების ზრდას.

[1] IDFI-ის კვლევები Covid-19 პანდემიასთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ:
https://bit.ly/3jSgpau
https://bit.ly/3xiiO1X
https://bit.ly/3k3Uld9
https://bit.ly/3dQtBZH

მოსახლეობის სოციალური დაცვის ღონისძიებები

მოსახლეობის სოციალური დაცვის ღონისძიებებისათვის პანდემიის დაწყებიდან ერთი წლის განმავლობაში სულ დახარჯულია 1.13 მილიარდი ლარი. ამ თანხიდან ყველაზე მეტი მოხმარდა მოსახლეობის კომუნალური გადასახადების სუბსიდირებას 469.6 მილიონი ლარი. უმუშევრად დარჩენილი პირების ფინანსურ დახმარებაზე სულ დაიხარჯა 317.7 მილიონი ლარი, საიდანაც 206.5 მილიონი ლარი მიემართა დაქირავებით დასაქმებულთათვის, ხოლო 111.2 მილიონი ლარი თვითდასაქმებულთათვის. 18 წლამდე ბავშვთა ერთჯერად სოციალურ დახმარებაზე დაიხარჯა 187.8 მილიონი ლარი, სოციალურად დაუცველი ოჯახების ფულად დახმარებაზე - 101.1 მილიონი ლარი, ხოლო შშმ პირების ფულად დახმარებაზე - 39.5 მილიონი ლარი. ასევე, პანდემიის ფარგლებში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სოციალურად დაუცველი სტუდენტების სწავლის საფასურის დაფინანსებაზე დაიხარჯა 14.8 მილიონი ლარი.

მოსახლეობის სოციალური დაცვის მიმართულება (მილიონი ლარი)	სულ 1,130.5	
	2020	2021 (I კვ)
ახალი კორონავირუსიდან გამომდინარე მოსახლეობის კომუნალური გადასახადების სუბსიდირება	382.7	86,9
სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის ფულადი დახმარება/ კომ-პენსაცია (65000- 100000 ქულის მქონე ოჯახები)	64,7	36,4
შშმ პირებისათვის ფულადი დახმარება/კომპენსაცია	26.0	13,5
18 წლამდე ბავშვთა ერთჯერადი სოციალური დახმარება	187.8	
ფულადი დახმარება/კომპენსაცია დაქირავებით მომუშავე ფიზიკური პირებისათვის	131,2	75,3
ფულადი დახმარება/კომპენსაცია ინდ. მეწარმეებისა და გადასახადის გადამხდელი ფიზიკური პირებისათვის	110,8	0,4
ერთჯერადი სოციალური დახმარება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სოციალურად დაუცველი სტუდენტების სწავლის საფა-სურის დაფინანსება	14,8	

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

კომუნალური გადასახადების სუბსიდირება

2020 წლის 3 აპრილს საქართველოს მთავრობამ მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვით საყოფაცხოვრებო მომხმარებლების მიერ, მარტის, აპრილის და მაისის თვეებში 200 კილოვატ/საათზე ნაკლების მოცულობის ელექტროენერგიის მოხმარების შემთხვევაში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან სუბსიდირება გაიცემოდა შესაბამისი თვეების ელექტროენერგიის, წყლის და დასუფთავების გადასახადზე. ასევე, 200 კუბურ მეტრზე ნაკლები ბუნებრივი გაზის მოხმარების შემთხვევაში, სუბსიდირება გაიცემოდა ბუნებრივი გაზის გადასახადზე. პროგრამა გავრცელდა სოციალური მდგომარეობის განურჩევლად, თითოეულ აბონენტზე, რომელიც აკმაყოფილებდა მოხმარებული ელექტროენერგიის ან/და ბუნებრივი გაზის დათქმულ ოდენობას. თუმცა, პროგრამის ბენეფიციარებს მიეცათ უფლება უარი ეთქვა სუბსიდირებაზე, ამ მიზნით შექმნილი ელექტრონული პლატფორმის საშუალებით.

2020 წლის ნოემბრიდან მსგავსი პირობებით კვლავ განახლდა კომუნალური გადასახადების სუბსიდირების პროგრამა, რომელიც გავრცელდა მომდევნო 4 თვეზე (2020 ნოემბერი-დეკემბერი, 2021 იანვარი-თებერვალი). 2021 წლის იანვრიდან, ელექტროენერგიის ტარიფის გაძვირებასთან დაკავშირებით, აღნიშნულ პროგრამაში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვით დამატებით ის აბონენტები, რომლებიც 200 ათასიდან 300 ათასამდე კილოვატ/საათს მოიხმარდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიეცემოდა ფასთა შორის სხვაობის სუბსიდია. ფასთა შორის სხვაობის სუბსიდია (300 ათას კილოვატ/საათამდე მოხმარების შემთხვევაში) გაგრძელდა 2021 წლის მარტის თვის შემდეგაც.

ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების მიხედვით, პანდემიის ფარგლებში კომუნალური გადასახადების სუბსიდირებაზე, 2021 წლის 31 მარტის მდგომარეობით, სულ დაიხარჯა 469.6 მილიონი ლარი. მსგავსი ხარჯების ზრდას, თავის მხრივ, ხელი შეუწყო ელექტროენერგიის ტარიფის გაძვირებამ. მაგალითად, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მონაცემებით, 2021 წლის იანვარში 200 კილოვატ/საათამდე მომხმარებელი ელექტროენერგიის აბონენტების რიცხვი შემცირდა დაახლოებით 12 ათასით, თუმცა სუბსიდიის თანხა გაიზარდა 2.2 მილიონი ლარით. ამასთან, ფასთა შორის სხვაობის სუბსიდიის ფარგლებში 2021 წლის პირველ კვარტალში დაიხარჯა 7.9 მილიონი ლარი.





წყარო: ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

უმუშევრად დარჩენილთა კომპენსაცია

ანტიკრიზისული გეგმის მიხედვით, დაქირავებით დასაქმებული პირები, რომლებმაც დაკარგეს სამსახური დახმარების სახით მიიღებდნენ 6 თვის განმავლობაში, თვეში 200 ლარს. ხოლო სხვადასხვა კატეგორიის თვიდასაქმებულები მიიღებდნენ ერთ-ჯერად დახმარებას, 300 ლარს.

პანდემიის გამო უმუშევრად დარჩენილთა 200-ლარიანი დახმარების პროგრამისთვის 2020 წლის ბიუჯეტიდან 450 მლნ. ლარი გამოიყო. პროგრამის მიმდინარეობის მანძილზე (მაისი-ნოემბერი) გამოყოფილი თანხების მესამედიც ვერ იქნა ათვისებული. ეს გარკვეულწილად განაპირობა ბენეფიციარების ანგარიშზე სახელფასო შემოსავლის ჩარიცხვებმა (>10 ლარზე), რაც დახმარების შეწყვეტის წინაპირობა გახდა. უმუშევრად დარჩენილთა პროგრამაზე ყველაზე მოცულობითი დახმარებები ივნისის თვეში გაიცა. საერთო ჯამში, დახმარება 162,220-მა უნიკალურმა ბენეფიციარმა მიიღო და ჯამურად, 129 მლნ. ლარი დაიხარჯა. ივნისში დახმარებების სწრაფი ზრდის ფონზე დანარჩენ თვეებში დახმარების მოცულობა და მიმღებ პირთა რაოდენობა მცირდებოდა.

პროგრამა 6 თვით კვლავ განახლდა 2021 წლის 1 იანვრიდან. ამჯერად პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 150 მილიონი ლარით. 2021 წლის პირველ კვარტალში 100 ათასამადე პირზე გაიცა ჯამში, 75.3 მილიონი ლარი. შესაბამისად, 2021 წელს აღნიშნული ხარჯი შესაბამისობაშია გეგმიურ მაჩვენებელთან.

უმუშევრად დარჩენილთა 200 ლარიანი დახმარების პროგრამაზე გაცემული თანხები და ბენეფიციართა რაოდენობა



ბენეფიციართა განაწილება დახმარების მიღების სიხშირით



წყარო: დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო, IDFI

2020 წლის 24 აპრილს გამოცხადდა 250 ათასი თვითდასაქმებულის 300 ლარიანი დახმარების პროგრამა, რომლისთვის გამოყოფილი იყო 75 მლნ. ლარი. პროგრამით დადგენილი პირობების გათვალისწინებით, თვითდასაქმებულებს გაუჭირდათ შემოსავლის დადასტურება, შედეგად, პირველ ეტაპზე 251,000 თვითდასაქმებულიდან დახმარება 171,000-მა მიიღო (68%) და ჯამში 51 მლნ. ლარი გაიცა დახმარების სახით. მეორე ეტაპზე თანხა დამატებით 78,000 თვითდასაქმებულს გადაეცა, რომლებსაც პირველ ეტაპზე უარი უთხრეს და ამ გზით მოხერხდა ბიუჯეტის თითქმის სრულად ათვისება (74.6 მლნ. ლარი). დახმარების ამ პროგრამამ ჯამურად თვითდასაქმებულების 29% მოიცვა. მიუხედავად ამ პროგრამის მნიშვნელობისა, მთავრობამ არასაკმარისი სტიმულებით კრიზისულ მდგომარეობაში ვერ შეძლო გათვლილ ვადაში გამოყოფილი თანხის გაცემა, რის შედეგადაც ჯერ გადავადება, შემდეგ კი თანხების იმ ხალხზე გაცემა მოუწია, ვინც ვერ დააკმაყოფილა მთავრობის მიერ წარდგენილი მოთხოვნები.

ანტიკრიზისული გეგმის ფარგლებში მსგავსი დახმარება კვლავ გაიცა იმ დასაქმებულებზე, რომლებსაც 2020 წლის 28 ნოემბრიდან 2020 წლის 24 დეკემბრამდე პერიოდში დაწესებული შეზღუდვების გამო შეუჩერდათ საქმიანობის განხორციელების უფლება. მეორე ეტაპზე სულ 121.6 ათას ბენეფიციარზე გაიცა 111.3 მილიონი ლარი.

სოციალურად დაუცველი ოჯახებისა და შშმ პირებისთვის ფულადი დახმარება

ანტიკრიზისული გეგმის მიხედვით, 2020 წელს სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის განისაზღვრა დახმარება თვეში 100 ლარის ოდენობით (6 თვის განმავლობაში მაისი-ოქტომბერი). კერძოდ, პროგრამის ბენეფიციარები იყვნენ:

- 65 ათასიდან 100 ათასამდე სარეიტინგო ქულის მქონე სოციალურად დაუცველი ოჯახები;
- 0-დან 100 ათასამდე სარეიტინგო ქულის მქონე სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი (3 ან მეტი 16 წლამდე ბავშვი) ოჯახები.

2020 წელს 65 ათასიდან 100 ათასამდე სარეიტინგო ქულის მქონე სოციალურად დაუცველ ოჯახების კომპენსაციის ჯამურმა მოცულობამ 50.5 მლნ. ლარი შეადგინა, ხოლო მრავალშვილიანი სოციალურად დაუცველი ოჯახების კომპენსაციამ - 14.3 მლნ. ლარი. აღნიშნული პროგრამა კვლავ განახლდა, 2021 წლის იანვრიდან 6 თვით. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პროგრამის ბენეფიციართა რაოდენობა მზარდია და აღემატება პროგრამის წინასწარ გათვლებს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ პანდემიის

ფონზე მეტი ოჯახი ღარიბდება და მოითხოვს დახმარებას. მაგალითად, პროგრამის ბენეფიციარი, 65 ათასიდან 100 ათასამდე სარეიტინგო ქულის მქონე სოციალურად დაუცველი ოჯახების რიცხვი 2020 წლის მაისიდან 2021 წლის მარტამდე 45,771-ით (23%-ით) გაიზარდა, ხოლო პროგრამის ბენეფიციარი მრავალშვილიანი ოჯახების რიცხვი 23,067-ით (17%-ით) გაიზარდა.

სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის კომპენსაციაზე გაცემული თანხები



წყარო: *სოციალური მომსახურების სააგენტო*

მრავალშვილიანი სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის კომპენსაციაზე გაცემული თანხები



წყარო: *სოციალური მომსახურების სააგენტო*

2020 წელს ანტიკრიზისული გეგმა ასევე ითვალისწინებდა მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის 6 თვის განმავლობაში ყოველთვიურად 100 ლარის ოდენობის (მაისიდან ოქტომბრის ჩათვლით) დახმარების გაცემას. პროგრამის ბიუჯეტი 25 მლნ. ლარს შეადგენდა. 2020 წელს პროგრამის ფარგლებში 26 მლნ. ლარი იქნა გადარიცხული, ყველაზე მეტი ბენეფიციარი, 45,017 პირი, პროგრამას ოქტომბერში ჰყავდა. პროგრამა 6 თვით განახლდა 2021 წელს, განახლებული ბიუჯეტი 27 მლნ. ლარამდე გაიზარდა და ბენეფიციართა სავარაუდო რაოდენობა 43 ათასი პირია. 2021 წლის პირველ კვარტალში შშმ პირებს 13.5 მლნ. ლარის კომპენსაციები გადაერიცხათ.



წყარო: სოციალური მომსახურების სააგენტო

18 წლამდე ბავშვების ერთჯერადი სოციალური დახმარება

2020 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, 18 წლამდე ბავშვების კომპენსაციაზე 187.8 მილიონი დაიხარჯა და კომპენსაცია 904.1 ათასზე მეტ ბავშვს დაერიცხა. გამოყოფილი დახმარები იყო ერთნაირი მოცულობით როგორც სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის, ასევე მოსახლეობის მაღალშემოსავლიანი ნაწილისათვის. პროგრამამ გადააჭარბა თავდაპირველად გამოყოფილ ბიუჯეტს, 160 მლნ ლარს, სადაც ბენეფიციართა რაოდენობა 800,000-ით იყო განსაზღვრული. თუმცა, გაურკვეველია თუ რატომ იქნა განსაზღვრული თავდაპირველად ბავშვების რაოდენობა 800,000-ით. პროგრამა 1 დეკემბერს დასრულდა და მასზე ჯამში 943,000 ბავშვი დარეგისტრირდა.

პროგრამის დიდი ნაწილი (122.8 მლნ ლარი) დაფინანსდა StopCov ფონდში მობილიზებული თანხების ფარგლებში.

ბიზნესის მხარდაჭერა

ანტიკრიზისული გეგმის ფარგლებში შემუშავებული ბიზნესის მხარდამჭერი ღონისძიებების 1 წლის ხარჯმა 786.9 მილიონი ლარი შეადგინა. მათ შორის, ყველაზე მეტი რესურსი (492.6 მილიონი ლარი) მოხმარდა საგადასახადო შეღავათებს, საიდანაც საშემოსავლო გადასახადზე დაწესებულმა შეღავათმა შეადგინა - 443.9 მილიონი ლარი. ხოლო, ტურიზმის სექტორისთვის დაწესებულმა საგადასახადო შეღავათმა - 48.7 მილიონი ლარი.

პანდემიის ფარგლებში სოფლის მეურნეობის მხარდაჭერამ 169.7 მილიონი ლარი შეადგინა, საიდანაც ყველაზე დიდი თანხა (104.3 მილიონი ლარი) რთველის ხელშეწყობას მოხმარდა. ასევე, 30.2 მილიონი ლარი დაიხარჯა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამაზე, ხოლო 24.7 მილიონი ლარი მოხმარდა პირველადი მოხმარების სასურსათო პროდუქტებზე ფასების შენარჩუნებას და მარაგების შექმნას.

ბიზნესის მხარდამჭერის სხვა პროგრამებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიემართა 124.5 მილიონი ლარი. მათ შორის, მცირე, საშუალო და საოჯახო სასტუმრო/სარესტორნო ინდუსტრიის ხელშეწყობისთვის 55.1 მილიონი ლარი, საკრედიტო-საგარანტიო სქემებისთვის - 57.3 მილიონი ლარი, სამშენებლო სექტორის ხელშეწყობისთვის - 9.6 მილიონი ლარი, ხოლო მეწარმეობის მცირე გრანტებისთვის -2.5 მილიონი ლარი.

ბიზნესის მხარდაჭერის მიმართულება (მილიონი ლარი)	786.9	
	2020	2021 (I კვ)
საგადასახადო შეღავათები	**364.2**	**128.4**
მათ შორის: საშემოსავლო გადასახადის შეღავათი	315.5	128.4
ტურიზმის სექტორის საგადასახადო შეღავათი	48.7	
სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა	**162.4**	**7.3**
მათ შორის: რთველის ხელშეწყობა	104.3	
აგროწარმოების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა	9.2	
პირველადი მოხმარების სასურსათო პროდუქტების მარაგების შექმნა	13.5	
პირველადი მოხმარების სასურსათო პროდუქტებზე ფასების შენარჩუნების სახელმწიფო პროგრამა	6.2	5.0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა	29.2	1.0
2021 წლის განმავლობაში სურსათის მწარმოებლებისთვის ელექტრონერგიაზე ტარიფის ზრდის 50%-ის სუბსიდირება		1.3
ბიზნესის მხარდამჭერი სხვა პროგრამები	**109.7**	**14.8**
მათ შორის: მცირე, საშუალო და საოჯახო სასტუმრო/სარესტორნო ინდუსტრიის ხელშეწყობა	51.2	3.9
საკრედიტო-საგარანტიო სქემა	47.0	10.3
სამშენებლო სექტორის ხელშეწყობა	9.0	0.6
მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობა - მცირე გრანტები	2.5	

მთავრობის ანტიკრიზისული გეგმის ფარგლებში დამსაქმებლებს ყოველთვიური ხარჯების შემცირების შესაძლებლობა მიეცა. კერძოდ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 112-ე ნაწილის თანახმად, 2020 წლის 1-ლი მაისიდან 6 კალენდარული თვის განმავლობაში,[2] აგრეთვე 2020 წლის 1-ლი დეკემბრიდან 6 კალენდარული თვის განმავლობაში, დამქირავებელს მიენიჭა უფლებამოსილება ბიუჯეტში არ შეეტანა დაქირავებულისთვის გაცემული 750 ლარამდე ხელფასიდან დაკავებული საშემოსავლო გადასახადი, თუ ამ დაქირავებულის მიერ 1 კალენდარული თვის განმავლობაში მიღებული ხელფასი 1,500 ლარს არ აღემატებოდა.

შემოსავლების სამსახურიდან მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, საშემოსავალო გადასახადის საშეღავათო ორივე 6 თვიანი ციკლის განმავლობაში, ყოველთვიურად იზრდებოდა იმ სამუშაო ადგილების რაოდენობა, რომელთა ხელფასი არ აღემატებოდა 1,500 ლარს, შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტი უზრუნველყოფდა უფრო და უფრო მეტი შეღავათის გაცემას.

საშემოსავლო გადასახადის საშეღავათო ორივე 6-თვიანი ციკლის დაწყების დრო ემთხვევა ვირუსის გავრცელებასთან დაკავშირებით დაწესებული მკაცრი შეზღუდვების პერიოდს. შესაბამისად, შეზღუდვების შემსუბუქებასთან ერთად იზრდებოდა დამსაქმებელთა და საშეღავათო ხელფასის მქონე სამუშაო ადგილების რაოდენობა. ასევე, პროგრამის არსებული დათქმა, საშემოსავლო შეღავათის მხოლოდ 1,500 ლარამდე ხელფასის მქონე თანამშრომლებზე გავრცელების შესახებ, დამსაქმებლებს გარკვეულწილად უბიძგებდა ხელოვნურად გაეზარდათ მსგავსი ანაზღაურების მქონე თანამშრომელთა რიცხვი.



წყარო: შემოსავლების სამსახური

[2] *შენიშვნა: წარმოდგენილი მონაცემები არ მოიცავს 2020 წლის ნოემბერის მონაცემებს

პანდემიის დაწყებიდან 1 წლის განმავლობაში, სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის მიმართულებით გაწეული ხარჯების დაახლოებით 65% (104 მილიონი ლარი) რთველის ხელშეწყობას მოხმარდა. 2020 წელს რთველის სუბსიდიის მიღებას დაექვემდებარა ის კომპანიები, რომლებიც შეისყიდიდა კახეთის რეგიონში მოყვანილ 1,000 ტონაზე მეტ რქაწითელის ან კახური მწვანის ჯიშის ყურძენს, 1 კგ-ს მინიმუმ 0.8 ლარად. პროგრამის მიხედვით, 1 კგ ყურძენზე სახელმწიფო სუბსიდიის ოდენობა შეადგენდა 0.3 ლარს. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სულ შესყიდულია 168.3 ათასი ტონა ყურძენი, საიდანაც კერძო კომპანიებმა შეისყიდეს მხოლოდ 81.6 ათასი ტონა, ხოლო დანარჩენი 86.7 ათასი ტონა (ნახევარზე მეტი) შეისყიდა სახელმწიფო საწარმო სს „აკურამ". შედეგად, რთველის მხარდაჭერაზე დახარჯული 104 მილიონი ლარიდან, კერძო კომპანიების მიერ შესყიდული ყურძნის სუბსიდირებაზე დაიხარჯა 24.5 მილიონი ლარი, ხოლო დანარჩენი თანხა მოხმარდა სახელმწიფო საწარმო სს „აკურა"-ს მიერ ყურძნის შესყიდვა/გადამუშავებას და სხვა რთველთან დაკავშირებულ ღონისძიებებს.



წყარო: გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის ფარგლებში, 30 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამაზე". პროგრამის ბენეფიციარებს წარმოადგენდნენ, 0,25 ჰა-დან 10-ჰა-მდე მიწის მესაკუთრეები, რომლებსაც სს „ლიბერთი ბანკში" გახსნილ აგრობარათებზე დაერიცხათ, ყოველ 1 ჰა-ზე 200 ლარის ოდენობის სუბსიდია. აღნიშნული დაფინანსების ფარგლებში, ფერმერებს შეეძლოთ 2021 წლის 20 მაისამდე

სპეციალიზირებულ[3] მაღაზიებში შეესყიდათ სასოფლო სამეურნეო საქონელი ან ესარგებლათ ხვნის მომსახურების შესყიდვით სახელმწიფო შპს „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკისა და სერვისების კომპანიის" სერვისცენტრებში.

გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, პროგრამის ფარგლებში 259,509 ფერმერს აგრობარათზე დაერიცხა 33.3 მილიონი ლარი (ქულა), საიდანაც 2021 წლის 20 მაისის მდგომარეობით, ათვისებულია 31.3 მილიონი ლარი. აღნიშნული თანხიდან ფერმერებმა ხვნის მომსახურების შესყიდვაზე აითვისეს მხოლოდ 25.7 ათასი ლარი, ხოლო დანარჩენი თანხა (31.2 მილიონი ლარი) მოახმარეს სპეციალიზირებული მაღაზიებიდან გარკვეული საქონლის შესყიდვას.



წყარო: გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

პროგრამის არსებული რეგულაციების ფონზე, მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენდა სპეციალიზირებული კერძო კომპანიების მიერ, მეტი სარგებლის მიღების მიზნით, საქონლის ფასების ხელოვნური ზრდის საშიშროება. აღნიშნულ რისკებს, კიდევ უფრო ზრდის პროგრამის განმახორციელებლის ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტოს განმარტება, რომლის მიხედვით ისინი არ ფლობენ ცალკეული კომპანიების და საქონლის სახეობების მიხედვით ათვისებული თანხების და მათი სარეალიზაციო ფასების შესახებ ინფორმაციას.

[3] საქონლის სარეალიზაციო ობიექტები, რომელთაც „იმ ბიზნესოპერატორის აღიარების წესი, რომლის საქმიანობა დაკავშირებულია მცენარეთა დაცვის სფეროსთან" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 დეკემბრის №590 დადგენილების საფუძველზე მინიჭებული აქვთ უვადო აღიარება და სადაც ბენეფიციარი, პროგრამით განსაზღვრული პირობების ფარგლებში, ბარათზე დარიცხული ქულების ან/და თანხის მეშვეობით შეძლებს საქონლის მიღებას.

ეკონომიკის ხელშეწყობის დამატებითი პაკეტები

ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების მიხედვით, ანტიკრიზისული გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების ფარგლებში, ეკონომიკის ხელშეწყობის დამატებით პაკეტებზე დაიხარჯა 1.6 მილიარდი ლარი. მათ შორის, 594 მილიონი ლარი კომერციული ბანკების ლიკვიდურობის ზრდას, ხოლო 1.04 მილიარდი ლარი მოხმარდა საგადასახადო ზედმეტობის (დღგ-ის) დაბრუნებას.

კომერციული ბანკების ლიკვიდურობის (კომერციული ბანკების უნარი მათი აქტივები ნაღდ ფულად აქციონ) ხელშეწყობას მოხმარდა ანტიკრიზისული ღონისძიებების ფარგლებში საქართველოს მთავრობის მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული სახსრები. კერძოდ, 594 მილიონი ლარი ფინანსთა სამინისტრომ განათავსა კომერციული ბანკების 10 წლიან სადეპოზიტო სერთიფიკატებში.

ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, პანდემიასთან ბრძოლისთვის 1 წლის ხარჯების დაახლოებით 25% (1.04 მილიარდი ლარი) მოდის 2020 წელს საგადასახადო ზედმეტობის (დღგ-ის) დაბრუნებაზე. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2020 წლის ბიუჯეტის პანდემიამდელი გეგმით გათვალისწინებული იყო ბიზნესისთვის 600 მილიონი ლარის ოდენობის დღგ-ს დაბრუნება. პანდემიის ფარგლებში დამატებით ბიზნეს დაუბრუნდა 440 მილიონი. შესაბამისად, დღგ-ს სახით დაბრუნებული მთლიანი თანხის (1.04 მილიარდი ლარი), როგორც პანდემიასთან ბრძოლის ფარგლებში გატარებულ ხარჯად ასახვა, არ შეესაბამება რეალობას.

ეკონომიკის ხელშემწყობის დამატებითი პაკეტები (მილიონი ლარი)	1,634.0
კომერციული ბანკების ლიკვიდურობის ზრდა	594.0
საგადასახადო ზედმეტობის (დღგ-ის) დაბრუნება	1,040.0

პანდემიასთან დაკავშირებული სხვა ხარჯები და ღონისძიებები

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში ანტიკრიზისული გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსების შესახებ განცალკევებით წარმოდგენილ ინფორმაციაში, არ არის ასახული ინფორმაცია ზოგიერთი ქვეპროგრამების შესახებ, რომლებსაც პანდემიის ფარგლებში გაეზარდათ დაფინანსება. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენების მიხედვით, სულ იყო 7 მსგავსი ქვეპროგრამა რომლებსაც პანდემიის ფარგლებში ჯამში 210 მილიონი ლარით გაეზარდათ დაფინანსება. მათ შორისაა შემდეგი ქვეპროგრამები: სოციალური შეღავათები მაღალმთიან დასახლებაში, მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვა, პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის ქვეპროგრამა, სახელმწიფო კლინიკების მართვა, იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და სოციალური და საცხოვრებელი პირობების შექმნა, საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერები.

მთავრობის მიერ შემუშავებული ანტიკრიზისული გეგმის ფარგლებში, ასევე განხორციელდა ცალკეული ღონისძიებები რომლისთვისაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან პირდაპირი ხარჯები არ გაწეულა. მაგალითად, იაფი აგროდიზელით ხელშეწყობის პროგრამა, ფიზიკური პირების კომერციული ბანკებში არსებული სესხების გადავადება და სხვა.

2020 წლის მიწურულს, IDFI-ის მიერ განხორციელებულმა აგროდიზელით ხელშეწყობის პროგრამის მონიტორინგის შედეგებმა მნიშვნელოვანი კითხვები გააჩინა პროგრამის ეფექტიანობასთან დაკავშირებით. კერძოდ, კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი მიგნებები:

- გაცემულია 30,854,470 ლიტრი დიზელის საწვავის ფასდაკლების ბარათი, საიდანაც ბენეფიციარებმა აითვისეს მხოლოდ 10,225,460 ლიტრი (33,1%).
- პროგრამის ფარგლებში, ბენეფიციარებმა 1 ლარიანი ფასდაკლების ნაცვლად, დიზელი ავტოგასამართ სადგურებზე საშუალოდ 45 თეთრიანი ფასდაკლებით შეისყიდეს.
- ფერმერების მიერ მიღებული შეღავათი შეადგენს დაახლოებით 4.6 მილიონ ლარს, რაც პროგრამის დასრულებამდე 1 თვით ადრე, 9-ჯერ ჩამოუვარდება მის საბოლოო მიზანს (40,000 მილიონამდე შეღავათი ფერმერებს).

პროგრამის დასრულებამდე ერთი თვით ადრე დამდგარი შედეგები, ერთი მხრივ, პროგრამის დაგეგმვისა და განხორციელებისას არსებულ პრობლემებზე მიუთითებდა, ხოლო, მეორე მხრივ, აჩენდა ეჭვებს ხელისუფლების მიერ წინასაარჩევნო პერიოდში პროგრამის მასშტაბებისა და ეფექტიანობის შესახებ საზოგადოებაში გადაჭარბებული მოლოდინების ხელოვნურად შექმნის მცდელობაზე. აღნიშნულ მოსაზრებას ასევე ამყარებდა საქართველოს ხელისუფლების მიერ პროგრამის შედეგების ამსახველი ციფრების იმ ფორმით წარმოჩენა, რაც საზოგადოებისათვის პროგრამის წარმატების შესახებ გადაჭარბებული წარმოდგენების შექმნას უწყობდა ხელს. პროგრამა 2021 წელსაც გაგრძელდა, რომელიც კვლავ, გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სახელმწიფო კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას ,,სოკარ ჯორჯია პეტროლეუმს" შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე ხორციელდება.

საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული ანტიკრიზისული გეგმის ფარგლებში, ფიზიკურ პირებს კომერციულ ბანკებში სესხის 3 თვით გადავადების შესაძლებლობა მიეცათ. დამატებით, კიდევ 3 თვიანი საშეღავათო პერიოდით ისარგებლეს პირებმა, რომელთა შემოსავალზეც პანდემიამ უარყოფითად იმოქმედა. ეროვნული ბანკის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 2020 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით, იმ პირების რაოდენობა ვინც ერთხელ მაინც ისარგებლა სესხის გადავადებით, შეადგენდა 1,137,122 საცალო პროდუქტების მსესხებელს და 98,624 კორპორატიული, საშუალო, მცირე და მიკრო ბიზნესის საკრედიტო პროდუქტების მსესხებელ პირს. საშეღავათო პირობების დაწესებაზე არსებული მიდგომები განსხვავდებოდა ფინანსური ორგანიზაციების მიხედვით, თუმცა თითოეულ შემთხვევაში საშეღავათო პერიოდით სარგებლობამ გამოიწვია დარიცხული პროცენტის ზრდა. შედეგად, მათი ყოველთვიური გადასახადი საშეღავათო პერიოდის გასვლის შემდეგ გაიზარდა. **საშეღავათო პერიოდის გასვლის შემდეგ, ვადაგადაცილებული სესხების მქონე ფიზიკური პირების რაოდენობა დაახლოებით 10%-ით გაიზარდა.**

სარეზერვო ფონდები

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი მოიცავს საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდს, რომლის მიზანია წლის განმავლობაში წარმოქმნილი გაუთვალისწინებელი ხარჯების დაფარვა. სახელმწიფო ბიუჯეტის მსგავსად, სარეზერვო ფონდები გათვალისწინებულია ასევე ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულთა ბიუჯეტებში.

სარეზერვო ფონდების მიზანია წლის განმავლობაში წარმოქმნილი ისეთი ხარჯების დაფარვა, რომელთა გათვალისწინებაც ობიექტური გარემოებების გამო შეუძლებელია ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში. მაგალითად, სტიქიური უბედურებები, ეპიდემიები, ეკოლოგიური და სხვა სახის კატასტროფები. შესაბამისად, 2020 წელს კოვიდ-19 ვირუსის პანდემიით შექმნილი მდგომარეობა, წარმოშობდა სარეზერვო ფონდებიდან ვირუსთან ბრძოლისთვის გარკვეული ღონისძიებების დაფინანსების საჭიროებას.

მთავრობის სარეზერვო ფონდი

2020 წელს და 2021 წლის პირველ კვარტალში, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხიდან ჯამში დაიხარჯა 55 მილიონ ლარზე მეტი (55,511,407.59). მათ, შორის უშუალოდ კორონავირუსთან ბრძოლის მიზნობრიობით დახარჯულია მხოლოდ 14% - (7,708,933.6 ლარი). ამ თანხიდან, 2,996,399.23 ლარი დაიხარჯა საზღვარგარეთიდან შემოსული საქართველოს მოქალაქეებისათვის სავალდებულო კარანტინის მომსახურებისთვის, 612,892.80 ლარი მოხმარდა იტალიის რესპუბლიკიდან საქართველოს მოქალაქეების ტრანსპორტირებას, 109,669 ლარი მოხმარდა პანდემიის დროს აშშ-ში მყოფი მოსწავლეების და სტუდენტების საქართველოში დაბრუნებას, ხოლო დანარჩენი 3,989,972.60 ლარი ჯანდაცვის სამინისტრომ კორონავირუსის შემაკავებელი ღონისძიებების და მასზე ოპერატიული რეაგირების მიზნით დახარჯა.

მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ყველაზე მეტი თანხა, 41% (22,704,739.57 ლარი) დაიხარჯა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ საერთაშორისო საარბიტრაჟო დავებსა და უცხო ქვეყნის სასამართლოებში მიმდინარე საქმეების წარმართვის პროცესებზე. 12% (7,066,310.00 ლარი) დაიხარჯა არჩევნების მეორე ტურისთვის საჭირო ღონისძიებების განსახორციელებლად, 8% (4,486,860.3 ლარი) საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ დახარჯა ლობისტური საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვისთვის, დანარჩენი 25% მოხმარდა სხვადასხვა მიზნებს, რომლებიც ნაკლებად კავშირშია პანდემიის გამოწვევებთან. მაგალითად, 13 მილიონი ლარი გამოეყო თავდაცვის სამინისტროს წლის ბოლომდე აღებული ვალდებულებების შესრულების მიზნით, 200 ათასი ლარი გამოეყო იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მედიაციის

სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის, სსიპ - საქართველოს მედიატორთა ასოციაციის პირველადი ხარჯების დაფინანსების მიზნით. ამასთან, საქართველო საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილ 1 მილიონ ლარამდე თანხას მინიჭებული აქვს გრიფით საიდუმლო.

პანდემიის დროს მთავრობის ადმინისტრაციის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხების კატეგორიზაცია



წყარო: მთავრობის ადმინისტრაცია

ადგილობრივი თვითმმართველობების სარეზერვო ფონდები

2020 წელს, 54 მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან გაწეულია 14.7 მილიონი ლარის ხარჯი, რომელთა 63% (9.26 მილიონი ლარი) 4 ყველაზე დიდი ქალაქის (თბილისი - 6.21 მილიონი ლარი, ბათუმი -1.25 მილიონი ლარი, რუსთავი - 1.18 მილიონი ლარი, ქუთაისი - 620 ათასი ლარი) სარეზერვო ფონდზე მოდის.

ქალაქ თბილისის სარეზერვო ფონდიდან ყველაზე დიდი თანხა (2,404,700 ლარი) მოხმარდა კორონა ვირუსით გამოწვეული დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებებს. მათ შორის:

- 724 ათასი ლარი - Covid-19-ით გამოწვეული დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სისტემაში დასაქმებული თანამშრომლებისათვის დაინფიცირებისგან დამცავი საშუალებების შეძენა.
- 170.7 ათასი ლარი - სამედიცინო პერსონალისა და საკარანტინე ზონებში მყოფი მოქალაქეების ტრანსპორტირება.

- 80 ათასი ლარი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლების სპეციფიკური ლაბორატორიული პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციის (PCR) კვლევის მომსახურების ხარჯების ანაზღაურება.
- 75 ათასი ლარი - ქ. თბილისის ქუჩების დამუშავება/დეზინფექცია (ე.წ. გამფრქვევის საშუალებით ცივი შესხურების სადეზინფექციო ხსნარებით).
- 56 ათასი ლარი - უფასო სასადილოების ბენეფიციარებისათვის განკუთვნილი სადილის საცხოვრებელ მისამართზე მიწოდების მიზნით, მიკროავტობუსების მომსახურება.
- 16 ათასი ლარი - ქალაქ თბილისის ქუჩების დამუშავება-მორეცხვისათვის, საყოფაცხოვრებო სარეცხი საშუალებების შეძენა.
- 1.16 მილიონი ლარი (საშუალოდ, ოჯახზე 64 ლარი) - წინა საახალწლო პერიოდში 18 ათასი სოციალურად დაუცველი ოჯახისათვის, Covid-19-ით გამოწვეული სირთულეების გათვალისწინებით, საკვები პროდუქტების და პირბადეებით ერთჯერადი უზრუნველყოფა.

ბათუმის მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან გაწეული ხარჯებიდან 1.09 მილიონი ლარი მოხმარდა მოქალაქეთა მატერიალურ დახმარებებს, ხოლო 151.5 ათასი ლარი საკარანტინე სივრცეებიდან მოქალაქეთა ტრანსპორტირებას. რუსთავის მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდის ხარჯების 67% (789.9 ათასი ლარი) დაკავშირებულია კორონავირუსის პანდემიასთან ხოლო, ქუთაისის მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდის დაახლოებით 90% (555.9 ათასი ლარი) მოხმარდა მოქალაქეთა მატერიალურ დახმარებას.

დანარჩენი 50 მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან 2020 წელს გაწეული ხარჯებიდან 28% (1.54 მილიონი ლარი) მოხმარდა პანდემიის ბრძოლის ფარგლებში სხვადასხვა ღონისძიებების დაფინანსებას, 23% (1.24 მილიონი ლარი) მოქალაქეთა მატერიალურ დახმარებას, 14% (744.2 ათასი ლარი) - სტიქიის ან სხვა უბედური შემთხვევების შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურებას, 8% (425.4 ათასი ლარი) სხვადასხვა კაპიტალურ ხარჯს, ხოლო დანარჩენი 27%-ის შემთხვევაში მიზნობრიობა სრულიად უცნობია. სხვადასხვა მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან დაფინანსებულია კაპიტალური პროექტები, რომლებზეც მითითებული მიზნობრიობიდან არ იკვეთება ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში მისი გათვალისწინების შეუძლებლობა და შესაბამისად, სარეზერვო ფონდიდან მისი დაფინანსების აუცილებლობა.



წყარო: მუნიციპალიტეტებიდან მიღებული საჯარო ინფორმაცია

2020 წელს მუნიციპალიტეტების მიერ სარეზერვო ფონდებიდან გაწეული ხარჯების ანალიზი აჩვენებს, რომ სხვადასხვა მუნიციპალიტეტში, სარეზერვო ფონდების ოდენობის განსაზღვრის და მისი ათვისების პრაქტიკა განსხვავებულია. ცალკეული მუნიციპალიტეტები გაწევენ ისეთ ხარჯებს, რომელთა სარეზერვო ფონდიდან დაფინანსების აუცილებლობა კითხვის ნიშნებს აჩენს, ხოლო ცალკეული მუნიციპალიტეტები საერთოდ ვერ ახდენენ სარეზერვო ფონდში გათვალისწინებული სახსრების ათვისებას. მაგალითად, მცხეთის მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან ხარჯი საერთოდ არ გაწეულა. სარეზერვო ფონდის მინიმალური ათვისება, განსაკუთრებით პრობლემურად შესაძლებელია შეფასდეს 2020 წელს, კორონავირუსის პანდემიით შექმნილი მდგომარეობის პირობებში.

ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გამოწვევები COVID-19 პანდემიის დროს

კორონავირუსის პანდემიასთან ბრძოლის ფარგლებში, საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული ანტიკრიზისული გეგმის შესრულების და მის ფარგლებში გაწეული ხარჯების მონიტორინგის მიზნით, IDFI-მ შეისწავლა საჯაროდ ხელმისაწვდომი დოკუმენტები/მონაცემები და გამოჰყო ის საკითხები, რომელთა სრულყოფილი ანალიზი საჭიროებდა საჯარო დაწესებულებებიდან დამატებითი ინფორმაციის გამოთხოვას. ამ კუთხით განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელი იყო სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები, სადაც განცალკევებით წარმოდგენილია პანდემიის საპასუხოდ გატარებული ღონისძიებების და დაფინასების წყაროების შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაცია. პროექტის ფარგლებში, IDFI-მ შეისწავლა შემდეგი საჯაროდ ხელმისაწვდომი დოკუმენტები/ინფორმაცია:

- საქართველოს მთავრობის ანტიკრიზისული გეგმა (ფინანსთა სამინისტროს ანტიკრიზისული გეგმა, ტურიზმის ამოქმედების ანტიკრიზისული გეგმა, სოფლის მეურნეობის ანტიკრიზისული გეგმა, დეველოპერული სექტორის მხარდაჭერის ანტიკრიზისული გეგმა, ჯანდაცვის სამინისტროს ანტიკრიზისული გეგმა, განათლება - ანტიკრიზისული გეგმა);
- Covid-19-ის წინააღმდეგ საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების ანგარიშები;
- ანტიკრიზისული ბიუჯეტი;
- 2021 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი;
- 2020 წლის და 2021 წლის პირველი კვარტალი სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები;
- სახელმწიფო აუდიტის სამსახური მოხსენება 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ;
- ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდზე საგარეო დაფინასების შესახებ განთავსებული მონაცემები;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე განთავსებული მონაცემები.

პროექტის ფარგლებში გაიგზავნა ორი ტიპის საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ განცხადებები. **პირველი** წარმოადგენდა სტანდარტული შინაარსის მოთხოვნას, რომელიც ეგზავნებოდა გარკვეულ საჯარო დაწესებულებათა ჯგუფს.

მაგალითად, 192 სხვადასხვა საჯარო დაწესებულებიდან IDFI-მ გამოითხოვა კორონავირუსის პანდემიის პირობებში, უწყების 2020 წლის ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებების, ბიუჯეტიდან დაფინანსებული ღონისძიებების და გამარტივებული შესყიდვების ფარგლებში, სამსახურეობრივი ელექტრონული ფოსტიდან ბაზრის კვლევის მიზნით გაგზავნილი და მიღებული წერილების შესახებ ინფორმაცია. 64 მუნიციპალიტეტის მერიიდან IDFI-მ გამოითხოვა მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაცია.

მეორე ტიპის განცხადებები მოიცავდა არასტანდარტული შინაარსის საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებს, რომელიც იგზავნებოდა კონკრეტულ უწყებებში, მათი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე. მაგალითად, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციიდან მოთხოვნილ იქნა პანდემიის პირობებში გამოცემული მთავრობის განკარგულებების ასლები, ჯანდაცვის სამინისტროდან სამედიცინო ინფრასტრუქტურის მომზადებისთვის, აღჭურვილობის მომარაგებისთვის, მედპერსონალის მომზადებისთვის განხორციელებული აქტივობები და ხარჯები, ფინანსთა სამინისტროდან დონორებისგან მიღებული დაფინანსების შესახებ ინფორმაცია და სხვა.

პროექტის ფარგლებში, 200-მდე საჯარო დაწესებულებას ორ ეტაპად სულ გაეგზავნა 549 საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა, საიდანაც პასუხი მიღებულია 435 მოთხოვნაზე.



განსაკუთრებით პრობლემურად უნდა შეფასდეს ცალკეული უწყებებიდან, ისეთი ინფორმაციის გასაჯაროებისგან თავის არიდება, რომელიც კორონავირუსთან ბრძოლის ფარგლებში, უშუალოდ საქმიანობის სფეროს წარმოადგენს და ღირებულია ანტიკრიზისული გეგმის შესრულების მონიტორინგის პროცესში. მაგალითად, პანდემიის ფარგლებში მნიშნელოვანი გადაწყვეტილებები, მათ შორის თანხების გამოყოფასთან დაკავშირებით, მიიღება საქართველოს მთავრობის განკარგულების

საფუძველზე. 2020 წლის 19 მარტის შემდეგ, საქართველოს მთავრობის ვებგვერდზე განკარგულებები აღარ გამოქვეყნებულა. ცალკეული განკარგულებები ხელმისაწვდომია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე, თუმცა ისინი ვერ ქმნიან თანმიმდევრულ და სრულ სურათს. სამწუხაროდ, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ IDFI-ის შესაბამისი საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა, პანდემიის პერიოდში მთავრობის მიერ გამოცემული განკარგულებების შესახებ, უპასუხოდ დატოვა. საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, IDFI-მ მიმართა სამართლებრივ მექანიზმებს და აწარმოებს დავას თბილისის საქალაქო სასამართლოში. პროექტის ფარგლებში IDFI-მ სამართლებრივი დავა დაიწყო ასევე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, რომელმაც უპასუხოდ დატოვა მოთხოვნა სამინისტროს მიერ პანდემიის ფარგლებში განხორციელებული გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულებების, მიღება-ჩაბარებისა და ინსპექტირების აქტებისა და თითოეულ მათგანზეა ჩატარებული ბაზრის კვლევის დოკუმენტების ასლები მოწოდების შესახებ. სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემდეგ, სამინისტრომ IDFI-ს გარკვეული ინფორმაცია მოაწოდა.

ფინანსთა სამინისტრომ IDFI-ს არ მოაწოდა საქართველოსთვის გამოყოფილი ფინანსური დახმარებების (სესხი და გრანტი ცალ-ცალკე) ათვისებასთან დაკავშირებით, განმკარგავი უწყებების მიერ სამინისტროში წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშები. ასევე, საგარეო დაფინანსების ფარგლებში გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაცია არასრულყოფილად იყო წარმოდგენილი ჯანდაცვის სამინისტროს და მისი დაქვემდებარებული უწყებების მიერ. მაგალითად, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა საგარეო გრანტების ფარგლებში გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაციის მოთხოვნის პასუხად, წარმოადგინა მხოლოდ დაფინანსებული პროექტების ბიუჯეტების შესახებ ინფორმაცია, ხოლო მის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში გაწეული ჩაშლილი ხარჯების შესახებ ინფორმაციის მოწოდებისგან თავი შეიკავა.

პროექტის ფარგლებში ასევე, მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა ვაქცინაციის პროცესთან დაკავშირებული ხარჯების შესახებ ინფორმაციის მიღება. მსგავსი ინფორმაციის დაფარვის მოტივად სახელდებოდა მწარმოებელ კომპანიებთან გაფორმებული კონფიდენციალურობის ხელშეკრულებები.

პროექტის ფარგლებში IDFI-ის მიერ გაგზავნილი საჯარო ინფორმაციის მოთხოვნები (I ეტაპი)

საჯარო დაწესებულება	მოთხოვნების შინაარსი	შედეგი
192 საჯარო დაწესებულება (პარლამენტი, პრეზიდენტის და მთავრობის ადმინისტრაცია, 11 სამინისტრო და სახელმწიფო მინისტრის აპარატი, აჭარის მთავრობა და სამინისტროები, 64 მუნიციპალიტეტის მერია, 90 სსიპ და სხვა დამოუკიდებელი ორგანო)	კორონავირუსის პანდემიის პირობებში, უწყების 2020 წლის ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებები და მის ფარგლებში ბიუჯეტიდან დაფინანსებული ღონისძიებების ჩამონათვალი. გამარტივებული შესყიდვების ფარგლებში, სამსახურეობრივი ელექტრონული ფოსტიდან, ბაზრის კვლევის მიზნით, გაგზავნილი და მიღებული წერილების ასლები	პასუხი მიღებულია 154 საჯარო დაწესებულებიდან პასუხი მიღებულია 141 საჯარო დაწესებულებიდან
64 მუნიციპალიტეტის მერია	მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან გაწეული ხარჯების ჩამონათვალი	პასუხი მიღებულია 55 მერიიდან
საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	2020 წლის 20 მარტიდან დღემდე საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული განკარგულებების ასლები	**უპასუხო** IDFI-მ მიმართა სასამართლოს
დაავადებათა კონტროლის ცენტრი	კარანტინში ყოფნის პერიოდში დადგენილი კორონავირუსის შემთხვევები შესყიდული სწრაფი ტესტები	არასრული მონაცემები
ჯანდაცვის სამინისტრო	სამედიცინო ინფრასტრუქტურის მომზადებისთვის, აღჭურვილობის მომარაგებისთვის, მედპერსონალის მომზადებისთვის განხორციელებული აქტივობები და ხარჯები; საკარანტინე სივრცეებში მოქალაქეთა განთავსების ხარჯები და იქ ყოფნისას გამოვლენილი შემთხვევები. უმუშევრად დარჩენილი მოქალაქეებისათვის გათვალისწინებული დახმარების თხოვნით შესული განცხადებები და უარის შემთხვევები.	არასრული მონაცემები
ფინანსთა სამინისტრო	სასურსათო პროდუქტებზე ფასების ზრდის თავიდან აცილების მიზნით გაფორმებული შეთანხმებები, საგადასახადო შეღავათებით მოსარგებლეები	სამინისტრომ წარმოადგინა, დონორების მიერ ჩარიცხული თანხების და

	და საშეღავათო თანხები, საბანკო სესხების სუბსიდირებაზე გაწეული ხარჯები, დეველოპერული სექტორის მხარდაჭერისთვის გაცემული იპოთეკური სესხები და დევნილი ოჯახებისთვის შესყიდული ბინები; პანდემიის ფარგლებში საერთაშორისო პარტნიორების მიერ ქვეყნის ეკონომიკისთვის გამოყოფილი თანხები და მისი მიზნობრიობა	საგადასახადო შეღავათების შესახებ ინფორმაცია. დანარჩენი მოთხოვნები პასუხის გაცემის მიზნით გადაუგზავნა ჯანდაცვის, ეკონომიკის და სოფლის მეურნეობის სამინისტროებს.
გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	სოფლის მეურნეობის ანტიკრიზისული გეგმის ფარგლებში ამოქმედებული პროგრამის „იაფი დიზელი ფერმერებს" განხორციელების შესახებ დეტალური მონაცემები. სასურსათო პროდუქტებზე ფასების ზრდის თავიდან აცილების მიზნით გაფორმებული შეთანხმებები, პირველადი წარმოების ზრდის ხელშეწყობის მიზნით თანადაფინანსების პროგრამის განხორციელების შესახებ მონაცემები.	ინფორმაცია წარმოდგენილია სრულად
ეროვნული ბანკი	ანტიკრიზისული გეგმის ფარგლებში სესხის გადავადების შესაძლებლობით მოსარგებლეთა შესახებ მონაცემები საფინანსო ორგანიზაციებთან საგადასახადო დავალინების გამო შავ სიაში მყოფი მოქალაქეების სტატისტიკური მონაცემები	არასრული მონაცემები
ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია	ტურიზმის ამოქმედების ანტიკრიზისული გეგმის ფარგლებში, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული ღონისძიებების ჩამონათვალი და გაწეული ხარჯები	უპასუხო
რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის სამშენებლო მასალების ფასის ზრდის დაზღვევასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯები და შეთანხმებული პირობები	სრულყოფილი

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	დისტანციურ სწავლებაზე გადასვლასთან დაკავშირებით სამინისტროს მიერ განხორციელებული აქტივობების (ტექნიკის შეძენა, პერსონალის გადამზადება და სხვა.) ჩამონათვალი, თითოეულზე გაწეული ხარჯის და თარიღის მითითებით.	არასრული მონაცემები
შინაგან საქმეთა სამინისტრო	61 გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულებების, მიღება-ჩაბარებისა და ინსპექტირების აქტებისა და თითოეულ მათგანზე ჩატარებული ბაზრის კვლევის დოკუმენტების ასლები. სამართლებრივი აქტი, რომლის საფუძველზეც ხელშეკრულებები არ ქვეყნდება შესყიდვების ელ-სისტემის CMR მოდულში.	პასუხი მიღებულია სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემდეგ
თავდაცვის სამინისტრო	14 გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულებების, მიღება-ჩაბარებისა და ინსპექტირების აქტებისა და თითოეულ მათგანზე ჩატარებული ბაზრის კვლევის დოკუმენტების ასლები. სამართლებრივი აქტი, რომლის საფუძველზეც ხელშეკრულებები არ ქვეყნდება შესყიდვების ელ-სისტემის CMR მოდულში;	არასრული მონაცემები

პროექტის ფარგლებში IDFI-ის მიერ გაგზავნილი საჯარო ინფორმაციის მოთხოვნები (II ეტაპი)

საჯარო დაწესებულება	მოთხოვნების შინაარსი	შედეგი
9 საჯარო დაწესებულება (სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, მთავრობის ადმინისტრაცია, სუს-ი, ოპერატიულ ტექნიკური სააგენტო, შსს და მისი დაქვემდებარებული 4 უწყება)	სამართლებრივი დოკუმენტები, რომელთა საფუძველზე შესყიდვის დოკუმენტაცია არ არის ხელმისაწვდომი ელექტრონული სისტემის CMR მოდულში	პასუხი მიღებულია 4 უწყებიდან
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	საზღვარგარეთიდან გამოყოფილი ფინანსური დახმარება, მისი ათვისება, განხორციელებული პროექტები; გაწეული ხარჯები, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშები	არასრული ინფორმაცია

ჯანდაცვის სამინისტრო	კორონავირუსის ტესტების შესყიდვის, პაციენტების მკურნალობისთვის, პირადი დაცვის საშუალებების შესყიდვის, სამედიცინო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის მოწყობის ხარჯები. საგარეო სესხების და გრანტების ფარგლებში გაწეული ხარჯები. Covid-19-ის ვაქცინის დანერგვის ეროვნული გეგმის ფარგლებში გაწეული ხარჯები. ვაქცინის შესყიდვასთან დაკავშირებით წარმოებული ელექტრონული მიმოწერა. ვაქცინაციაზე რეგისტრირებულთა სტატისტიკა. უმუშევრად დარჩენილთა დახმარებაზე უარის თქმის სტატისტიკა	არასრული მონაცემები
დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრი	ვაქცინაციის სტატისტიკა. კორონავირუსის ტესტების შესყიდვის სტატისტიკა. ვაქცინის შესყიდვასთან დაკავშირებით წარმოებული ელექტრონული მიმოწერა. საგარეო სესხების და გრანტების ფარგლებში გაწეული ხარჯები.	
ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	კომუნალური გადასახადების სუბსიდირებისთვის გაწეული ხარჯები და გაფორმებული ხელშეკრულებები.	სრულყოფილი ინფორმაცია
სოციალური მომსახურების სააგენტო	სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის და შშმ პირებისთვის გაცემული ფინანსური დახმარება	სრულყოფილი ინფორმაცია
ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია	საკარანტინო მომსახურებისთვის გაწეული ხარჯები. საკარანტინო სივრცეებში განთავსებულ პირთა რაოდენობა, საკარანტინო სივრცეში მოხვედრის მიზეზების მიხედვით	სრულყოფილი ინფორმაცია
შემოსავლების სამსახური	საშემოსავლო გადასახადის შეღავათით (ხელფასის პირველ 750 ლარზე) მოსარგებლეთა შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია	სრულყოფილი ინფორმაცია

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	სასურსათო პროდუქტებზე ფასების შენარჩუნების ხარჯები და ხელშეკრულებები. მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის შესახებ დეტალური ინფორმაცია. რთველის ფარგლებში ყურძნის მიღება-გადამუშავებისათვის კერძო კომპანიების სუბსიდირებაზე გაწეული ხარჯების შესახებ დეტალური ინფორმაცია აგროწარმოების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის შესახებ დეტალური ინფორმაცია.	სრულყოფილი ინფორმაცია
სსიპ აწარმოე საქართველო	სასტუმრო და სარესტორნო ინდუსტრიის ხელშეწყობის პროგრამის შესახებ დეტალური ინფორმაცია. საკრედიტო საგარანტიო სქემის სახელმწიფო პროგრამის შესახებ დეტალური ინფორმაცია. მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის შესახებ დეტალური ინფორმაცია.	დღეის მდგომარეობით უპასუხო

კორონავირუსის პანდემიასთან ბრძოლის ფარგლებში, 1 წლის განმავლობაში, საქართველოს ხელისუფლებამ მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსი დახარჯა, რომლის დაფინანსების მთავარ წყაროს საზღვარგარეთიდან მიღებული ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტები და გრანტები წარმოადგენდა. საქართველოს ხელისუფლების მიერ შემუშავებულმა ანტიკრიზისულმა გეგმამ მოსახლეობას და ბიზნესს შეუმსუბუქა პანდემიის შედეგად გამოწვეული ეკონომიკური პრობლემები. თუმცა, IDFI მიიჩნევს, რომ ცალკეული პროგრამების და ღონისძიებების ეფექტიანი დაგეგმვის და განხორციელების პირობებში შესაძლებელი იქნებოდა მნიშვნელოვანი რესურსის გამოთავისუფლება, რაც მიზნობრივი სეგმენტის და დახმარების მოცულობების ზრდას შესაძლებელს გახდიდა.

ანტიკრიზისული გეგმის ფარგლებში ჯანდაცვის მიმართულებით გაწეული ხარჯების ანალიზი, მთელ რიგ კითხვებს აჩენს ცალკეული პროცესების ეფექტიან წარმართვასთან დაკავშირებით. მაგალითად, ვაქცინაციის გაჭიანურებული პროცესი და დაფარული ხარჯები, სამედიცინო ინფრასტრუქტურის მოწყობისათვის გაწეული ხარჯების დაბალი მაჩვენებელი და სხვა.

მისასალმებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინიციატივა, შეისწავლოს როგორც მთავრობის ანტიკრიზისული გეგმის ეფექტიანობა და კანონთან შესაბამისობა, ისე ჯანდაცვის სამინისტროსა და მის დაქვემდებარებაში არსებული უწყებების შესყიდვები.

პროექტის, ფარგლებში IDFI-ს მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგების მიხედვით, ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად შესაძლებელია შეფასდეს Covid-19-თან დაკავშირებული **ფინანსების განკარგვასთან დაკავშირებული პროცესის გამჭვირვალობის დაბალი ხარისხი.** კერძოდ, ანტიკრიზისულ ღონისძიებებზე პასუხისმგებელი მთელი რიგი უწყებების მიერ, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნების შესაბამისად დეტალური ინფორმაციის გასაჯაროებისგან თავის არიდება, მნიშვნელოვნად აზარალებს კრიზისული მდგომარეობის ფარგლებში მათ მიერ გადადგმული ნაბიჯების მიმართ საზოგადოების ნდობის ხარისხს და მნიშვნელოვნად ზრდის საბიუჯეტო სახსრების არარაციონალური განკარგვის რისკებს. გაუმჭვირვალე პროცესის ფონზე, მსგავს რისკებს მნიშვნელოვნად ზრდის კრიზისული მდგომარეობის ფარგლებში გამარტივებული წესით განხორციელებული შესყიდვების მზარდი მაჩვენებლები, საერთაშორისო პარტნიორებისგან მიღებული ფინანსური დახმარებების მნიშვნელოვნად გაზრდილი მოცულობა და სხვა. ასევე, გაუმჭვირვალე პროცესის ერთ-ერთ

გამოვლინებად შესაძლებელია შეფასდეს მონიტორინგის ფარგლებში განხილული შემთხვევები, როდესაც ხელისუფლების მიერ ცალკეული ანტიკრიზისული პროგრამის შედეგები წარმოჩენილია იმ ფორმით, რაც საზოგადოებისათვის პროგრამის წარმატების შესახებ გადაჭარბებული წარმოდგენების შექმნას უწყობს ხელს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლების მიერ შემუშავებულმა ანტიკრიზისულმა გეგმამ მოსახლეობას და ბიზნესს შეუმსუბუქა პანდემიის შედეგად გამოწვეული პრობლემები, IDFI მიიჩნევს, რომ ანგარიშში წარმოჩენილი ისეთი საკითხების, რომელიც დაკავშირებულია პროგრამის დაგეგმვასთან, პირდაპირი დახმარებების სოციალური საჭიროებების მიხედვით განაწილებასთან და სხვა, ოპტიმალური გადაწყვეტის პირობებში, შესაძლებელი იყო ანტიკრიზისული ღონისძიების ეფექტიანობის ზრდა.

IDFI-ის მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგების მიხედვით, **საქართველოს ხელისუფლებას მოვუწოდებთ:**

- უზრუნველყოს პანდემიის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების და გაწეული ხარჯების მაქსიმალურად გამჭვირვალე პროცესი. მათ შორის, მნიშვნელოვანია ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების არსებული სტანდარტის გაუმჯობესება და IDFI-ს მიერ შემუშავებული რეკომენდაციების მიხედვით, კრიზისის დროს საჯარო დაწესებულებების მიერ პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხის ფორმირება.
- შემსყიდველმა ორგანიზაციებმა, მაქსიმალურად შეამცირონ გამარტივებული შესყიდვების გამოყენება ისეთი მომსახურებისა და პროდუქტების შესყიდვისას, რომელთა საჭიროება წინასწარ ცნობილია და შესაძლებელია მათი დაგეგმვა და კონკურენტული პირობებით ჩატარება.
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ გაითვალისწინოს IDFI-ის რეკომენდაციები, რომელიც ეხება ელექტრონულ სისტემაში არსებული მონაცემების ღია, დამუშავებად ფორმატში განთავსებას, გადაუდებელი აუცილებლობით მოთხოვნილი გამარტივებული შესყიდვების SMP კოდების მითითების კონტროლს და სხვა.
- აუდიტის სამსახურმა Covid-19-თან დაკავშირებული შესყიდვების შესწავლისას გაითვალისწინოს აღნიშნული პროექტის ფარგლებში განხორციელებული მონიტორინგისას გამოვლენილი ინფორმაცია საეჭვო გარემოებების შესახებ.
- 2021 წლის სამოქმედო გეგმის განხორციელებისას, მაქსიმალურად გათვალისწინებულ იქნას პროგრამების დაგეგმვასთან და განხორციელებასთან დაკავშირებით ანგარიშში მოყვანილი ფაქტორები, რაც ხელს შეუწყობს როგორც დახმარებების მოცულობის, ასევე მიზნობრივი სეგმენტის ეფექტიან ზრდას.
- ანტიკრიზისულ გეგმის ფარგლებში მეტი მიზნობრივი დახმარება მიიმართოს განსაკუთრებული ფინანსური და სხვა საჭიროებების მქონე მოწყვლად ჯგუფებზე ;

- გამკაცრდეს საგარეო კრედიტების და გრანტების ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების გეგმის მიხედვით შესრულების მონიტორინგი.
- სარეზერვო ფონდებიდან შეიზღუდოს ისეთი ხარჯების გაწევა, რომელთა მიზნობრიობიდან არ იკვეთება ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში მისი გაუთვალისწინებლობის შეუძლებლობა და შესაბამისად, სარეზერვო ფონდიდან მისი დაფინანსების აუცილებლობა.
- სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნას ადმინისტრაციული ხარჯების ეკონომიის მაქსიმალური შესაძლებლობები.
- ანტიკრიზისული გეგმის ფარგლებში შემუშავებული ნებისმიერი პროგრამის მასშტაბებისა და ეფექტიანობის შესახებ საზოგადოებას მიეწოდოს რეალობასთან შესაბამისობაში მყოფი მონაცემები, რაც გამორიცხავს პროგრამის ბენეფიციარებისათვის არასწორი მოლოდინების შექმნას.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)

ტ. შევჩენკოს ქ. 20, 0108 თბილისი +995 32 2 92 15 14 INFO@IDFI.GE WWW.IDFI.GE